# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 112 კვირა, 24 მაისი 1909 წ. № 112

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. ... ... მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ... ... ხავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ ... წერილები ... მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება ... ... დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.


# დროება

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 80 კ.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო თეატრი

კვირას, 24 მაისს, 1909 წ. ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ სცენის მოყვარეთა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## მეზობლები

პიესა 4 მოქმ. ტრ. რამიშვილისა.

... მიიღებენ ქ-ნნი: თ. გოგოლაშვილი, ს. რომანიშვილი, ტ. სა... ბ-ნნი: ანანიაშვილი, ბადრიძე, ბაქრაძე, გიბაშვილი, ა. ქიქოძე, ე. ..., გოცირიძე, გუმელაური, მარკოზოვი, თუმანიშვილი, ჯაბაური, ჩაგუნავა.

დასაწყისი სწორედ საღამოს $8^{1/2}$ საათზედ.

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება ხუთშაბათს საღამოს, 4 ივნისს. მზადდება წარმოსადგენად „სულელი", კომ. ფულდისა.

ქართული სახალხო სექცია დაბეჯითებითა სთხოვს საზოგადოებას წესიერების დასაცველად სხვის ადგილებზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულებით აღკრძალულია. წესიერების დაცვაში იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

რეჟისორი კ. შათირიშვილი. ადმინისტრატორი სვირელი.

## მუშტაიდის ბაღში კვირას, 24 მაისს, 1909 წ.

საზოგადოება „განათლება" მართავს

## დიდ სეირნობას

1. გასართობები ბავშვებისათვის: შვილდისარი, ჯირითი ველოსიპედებით, კარუსელი და სხვა;

2. ბაზარი Boue de le chance, ვისია ყანწი, ბედის ჩარხი, სიუხვის ქვევრი, ყვავილები, კონფეტი, ტიროლელი მომღერალნი, სამხედრო მუსიკა და დუდუკი.

დასაწყისი 2 საათზე.

შესასვლელი ფასი 20 კაპ., ყმაწვილებისთვის 10 კ. (5—უ.—4)

მშობლები ვასილ, ამინადარი, ქვრივი ეკატერინე, რძალი სოფიო, სიდედრი კესარია მასხულია და ძმები გარდაცვალებულისა მიხეილ, დავით და ვლადიმერ გლეშაკოვები უღულითადეს მადლობას უძღვნიან ნათესავთა და ნაცნობთ, რომელთაც პატივი სცეს და დაესწრნენ გამოსვენებას აფიცრის პეტრე ვასილის ძის გლეშაკოვისას 19 მაისს. (1—კვ.—1)

უდროოდ დაკარგულის გრიშა წულეისკირის მეუღლე, მშობლები, და-ძმანი და დანარჩენნი ჭირისუფალნი მოვალედა სთვლიან თავიანთ თავს, უღულითადესი მადლობა გამოუცხადონ ყველა იმათ, ვინც სიტყვით, წერილით ან დეპეშებით თანაუგრძნო, ანუგეშა და გაამხნევა ისინი; ვინც მიცვალებულის გამოსვენებას დაესწრო, ვინც მის ხსენებას ასე თუ ისე პატივი-სცა და გვირგვინებით შეამკო მისი ცხედარი. განსაკუთრებით მადლობას უძღვნიან ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობას, რომელმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო ჭირისუფლების გამოუთქმელ მწუხარებაში. (1—კვ.—1)

## ქართული თეატრი

ოთხშაბათს და ხუთშაბათს, 27 და 28 მაისს

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგ. სასარგებლოდ

ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი

## ივ. ალ. ჯავახიშვილი

წაიკითხავს ქართულად ორ ლექციას:

## „ქართულის სამართლის ისტორია"

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი: თითო ლექციისთვის ლოჟები: ლიტერისა 5 მ., ბენუარი და ბელეტაჟი 3 მ., პარტერი: 1 რიგი 1 მ. 50 კ., 2—4 რიგი 1 მან., 5—10 რიგი 75 კ., 11—17 რიგი 50 კ., გალერეა: 1 რიგი 30 კ., დანარჩენი 20 კ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ყოველ დღე დილით 10—2 ს., საღამოთი 6—8 ს. (3—1)

## ქართულ სიტყვა კაზმულ მწერლობის საბჭო

აცხადებს, რომ განზრახულ

## სალიტერატურო კრებულის

მასალების წარდგენისთვის უკანასკნელ ვადად დანიშნულია 15 ივნისი. მასალა უნდა წარედგინოს საბჭოს მდივანს სვიმონ ყიფიანს. (5—უ—5)

## ФЕЛЬДШЕРСКАЯ ШКОЛА

Д-ра Г. Л. РОГИНСКАГО

въ Москвѣ, Маросейка, Косма-Даміанскій пер., д. Конкина. Телефонъ 210-62.

Открыть пріемъ прошеній на $190^{9}/_{10}$ учебн. годъ. Условія высылаются и выдаются.

(Метцль и К.—166766) (4—მდ.—1)

სტამბა „შრომის" ამხანაგობამ

ქართულად გამოსცა გიოტეს უკვდავი ქმნილება

## ფაუსტი

დრამატიული პოემა ორ ნაწილად, თარგმანი პეტრე მირიანიშვილისა.

წიგნი შეიცავს 486 გვერდსა მოზდილი ფორმატისას და ღირს 1 მან. 25 კ. ვინც ხუთზე მეტს დაიბარებს თითო წიგნი დაეთმობა მანეთად. წიგნის საწყობია „შრომის" სტამბაში.

ადრესი: Тифлисъ, Типографія „Шрома", Василію Болквадзе. (10—ნ.—8)

## კაბინეტი

ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი ...საათ. ვერა, ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 69)

**ექიმი** მ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** მ. ნ. მელიქიშვილი

იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსხეს ქუჩა, N 11. (75—84)

**ექიმი** ქუთაისში გ. წერეთელი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

ახლად გახსნილი

ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ...

დილით:

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

გ. დ. ლამბაშიძე—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

გ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

გ. მ. მაკაროვი—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

მ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

საღამოთი.

ა. გ. მირზოევი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ნ. გ. ჭიჭინაძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—66)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ა. დიასამიძე

საღგომის გამოცვლის გამო 25 მაისამდე სახლში ავადმყოფებს არ მიიღებს; ავადმყოფებს გასინჯავს მხოლოდ „სამკურნალოში" ვოგზლის ქუჩაზე N 8, შუადღის 12—2-მდე.

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელიშვილის ... ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—151)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი** კბილისა ნ. რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა

## წინამძღოლი

იწვევს გუბერნიის თავად-აზნაურთ საგუბერნიო ჩვეულებრივ კრებაზე, რომელიც მოხდება კვირას, 24 ამა მაისს, დილის 9 საათზე, თავად-აზნაურთა საზამთრო თეატრის შენობაში. (2—ნ.—2)

## სახალხო უნივერსიტეტი

ზუბალაშვილის სახალხო სახლში დღეს, 24 მაისს, ბ-ნი ერმოლაევი წაიკითხავს რუსულად ლექციას

## გარშინზე

(კრიტიკული მიმოხილვა).

ლექცია დაიწყება დილის 11 ს. ფასები შაური და ორი შაური. ბილეთები იყიდება კასაში დილით 12—2 საათზე და საღამოთი 6—8 საათზე. (2—2)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს ხაზამოღებით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** ჯაფარიძე ქ. ქუთაისში

აქიმებს ყოველ ნაირ ჭლექით ავადმყოფებს ჩირქის და კან შუა მესახა წამლით ტუბერკულინით. ტფილისის ქუჩა, სახლი თ. ნიჟარაძისა. (12—ნ.—6)

## დაბა ახალ-სენაკში

ქ-ნ მ. დ. ფულარიას თაოსნობით

## იხსნება

ქალების კერძო ოთხ-კლასიანი

## პროგიმნაზია

გამოსაცდელი ეგზამენი დაიწყება 16 აგვისტოს, ხოლო მეცადინეობა 1 სექტემბერს. (26—266—3)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის თოთი ... ქუჩა, № 5. ალექსანდროვის ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე $2^{1/4}$—4 ს.

კალამქაროვი—საშ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

ერმოლაევი—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

პავლოვცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ზოლოვსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

გირალევიჩი—შინაგან, ყოველ დღე. $10^{1/2}$—$11^{1/2}$ ს.

ათუნიანცი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს.

იაკ. ჩუდნოვსკი—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ, და პარასკ. 4—5 ს.

ბალდინა-ნოვიცკაია—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

ნოვიცკი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

ნევზოროვა—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

პივარსკი—კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—40)

# ტფილისი, 24 მაისი

ქალაქ ყარსს წილად ჰხვდა გვიჩვენოს, რას უნდა მოელოდეს კავკასია მესამე სათათბიროსაგან: პირველად შარშან და ეხლა, 22 მაისს, მეორედ სათათბიროს გაცხარებული კამათი ჰქონდა იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ყარსში შემოღებულ იქმნას საქალაქო თვითმართველობა და, თუ შეიძლება, როგორის ტიპისა უნდა იყოს იგი.

საკითხი აღძრულია კავკასიის ნამესტნიკის მიერ, რომელმაც განიზრახა ყარსში 1892 წლის დებულების მიხედვით საქალაქო თვითმართველობის შემოღება. ვინ არ იცის, რა ირის 1892 წლის საქალაქო თვითმართველობა? დამახინჯებული, ფრთაშეკვეცილი, უუფლებო, იგი კარგა ხანია უვარგისად არის ცნობილი. მან უკან დასწია და დააქვეითა რუსეთის ქალაქების მეურნეობა და კეთილდღეობა. მან გაიბატონა მდიდარი სახლის პატრონები და ვაჭრები და ამით ცალმხრივი მიმართულება მისცა საქალაქო პოლიტიკას... ასეთ ვიწრო და უკვე დაწუნებულ რეფორმის შემოღება განიზრახეს და ესეც მეტ ბარგად სცნო განაპირა ქვეყნისთვის მესამე სათათბიროს უმრავლესობამ! შარშან პროექტი სრულიად უარყოფილ იქმნა და კომისიას დაევალა ახალ პროექტის შემუშავება იმ პირობით, რომ „რუს მცხოვრებთა ინტერესები იქმნას დაცულიო". ეხლა კომისიამ წარადგინა თავისი პროექტი და, მიუხედავად იმის უმგზავსობისა, უვარგისობისა, მემარჯვენეთაგან მაინც გაისმოდა ხმა—ადრეა ჯერ კავკასიისთვის რეფორმებიო: ჯერ იქ რევოლიუცია არ გათავებულა, ჯერ იქ ბოროტმოქმედი ინტელიგენცია არ მოგვისპია და თვითმმართველობის შემოღება საშიშიაო!.. მიუხედავად ამ „გამაფრთხილებელ" ხმებისა სათათბიროს უმრავლესობამ შეიწყნარა კომისიის პროექტი სწორედ იმიტომ, რომ იგი რაღაც უმგზავსო და დუხჭირი ქმნილებაა.

სათათბიროს შარშანდელ დავალების ასასრულებლად—„რუს მცხოვრებთა ინტერესი იქმნას დაცულიო"—კომისიას რეფორმის საფუძვლად მიუღია პროპორციონალური სისტემა. ვინ იტყვის, რომ ეს პროგრესიული ნაბიჯი არ იყოს: უმცირესობის ინტერესების უზრუნველყოფა, ნამეტნავად როცა ეს უმცირესობა-უმრავლესობა ეროვნულის სხვა და სხვაობით არის გამოწვეული, სამართლიანი და უკანასკნელი სიტყვაა სახალხო წარმომადგენლობის ორგანიზაციის საქმეში. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ყოველ კეთილ პრინციპის დამახინჯება შეიძლება, როცა მისი გამოყენება სამართლიანობის დასაცველად-კი არ უნდათ, არამედ უსამართლობის გასაძლიერებლად. სწორედ ასეთი ბედი ეწვია პროპორციონალურ სისტემას სათათბიროს კომისიაში: იგი სრულებით დამახინჯებულ და გადაგვარებულ იქმნა.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ კომისიას სათვალავში არ მიუღია ადგილობრივი მკვიდრნი—ოსმალნი: ამათ ადგილი სრულიად არ ეთმობათ მომავალ საქალაქო მმართველობაში. უპირველესი დანიშნულება პროპორციონალურ სისტემისა—უმცირესობის დაცვა—ამნაირად დარღვეულია პირველისავე ნაბიჯზე და მთელი ერთი ეროვნება გარიყულია, როგორც „უკანონო შვილი". ბევრი ეცადა ოპოზიცია (ჩხეიძე, ბულატი, ხასმამედოვი, მასლენიკოვი, სალათელიანი და სხვები)—ჩაეგონებინა სათათბიროსთვის ასეთ უყურადღებობის უსამართლობა და სიდუხჭირე, მაგრამ ვერას გახდა. კომისიას და სათათბიროს უმრავლესობას რუს უმცირესობის დარდი აქვს, თორემ სხვებისთვის როდი მოუცლია...

რომ ეს ასეა, ამას ამტკიცებს მეორე, არა ნაკლებ უცნაური, გარემოებაც. კომისიის პროექტით, ყარსში ორი ტიპის თვითმართველობა უნდა დაწესდეს: უფრო ფართო, ეგრედ წოდებული სრულ უფლებიანი რუსებისათვის, ხოლო ვიწრო, ეგრედ წოდებული გამარტივებული თვითმართველობა—დანარჩენ ერებისათვის. ამის მიხედვით საარჩევნო უფლებაც მცხოვრებთა ერთი ნაწილისათვის უფრო ფართოა, ვიდრე „უკანონო შვილებისთვის"... ოპოზიცია შეეცადა, ასეთი უცნაური პროექტი კომისიაში დაებრუნებით მაინც შეეჩერებინა, მაგრამ ამაოდ: სათათბიროს უმრავლესობამ იგი არა-თუ მოიწონა, საჩქაროთაც გამოაცხადა და მეორე განხილვაც მოასწრო...

ასეთი წყალობა გამოიღო პირველად მესამე სათათბირომ კავკასიისათვის და აქედანაც ცხადია, რა ბედი მოელის სხვა ადგილობრივ განზრახულ რეფორმებს. შერვაშიძის და სალათელიანის თქმისა არ იყოს, ასეთი ნაბიჯი დამამცირებულია რუსის სახელისა და ძლიერ სახელმწიფოს ღირსებისთვის, მაგრამ განა მესამე სათათბიროს უმრავლესობისთვის რასმეს ნიშნავს რუსის და რუსეთის ღირსების დაცვა? მთელი მისი პოლიტიკა არა თუ განაპირა ქვეყნებისათვის, არამედ შიდა რუსეთისათვის, თვით რუსის ხალხისათვის სხვა არა არის რა, როგორც დამცირება და შელახვა ქვეყნის ინტერესებისა, პრესტიჟისა და მომავლისა. მესამე სათათბირო ბევრად უფრო თამამად მიდის იმ გზაზე, რომელზედაც ძველი რეჟიმი იღწოდა და მუკდენ-ცუსიმას უმზადებდა თავის სამშობლოს.

# სროლა მეტეხის ციხეში

გუშინ წინ, პარასკევს საღამოთი, მეტეხის ციხის გარშემო, მთელ ავლაბარში და მტკვრის გაღმა-გამოღმა საშინელი სროლის ხმა გაისმა. კაცს ეგონებოდა, მტრის ჯარი შემოსულა, ბრძოლააო. ხალხი, რასაკვირველია, დაფრთხა. ჩაკეტეს დუქნები, სახლები. ყველა გზა-დაბნეული გარბოდა. შიშს აორკეცებდა საქმის ვითარების არ ცოდნა. ზოგი ამბობდა, მეტეხის ციხე ააფეთქესო, ზოგი კიდევ—რას.

სროლის ხმა პირველად მოისმა მეტეხის ციხიდან ასე საღამოს 6 საათზე, მთელი პოლიცია ფეხზე დადგა. ყველა მხრიდან, მეტეხის ციხეს მიაშურეს. პირველ სროლას მოჰყვა მეორე, მესამე. გაჩნდნენ ჯარის კაცებიც; რამდენჯერმე გაისმა ერთბაში სროლა და გავიდა თითქმის ორი საათი, რომ მეტეხის ციხეში, როგორც იყო, სიწყნარე ჩამოვარდა. მთელ საღამოს ერთი ჩოჩქოლი და ლაპარაკი იყო, მაგრამ არავინ არ იცოდა, რა მოხდა და რა არა. ძალიან შეშინდნენ მეტეხის ციხეში დაპატიმრებულთა პატრონები. მხოლოდ გუშინ დილით გამოირკვა, რომ მეტეხის ციხეში დიდი შეტაკება მოსვლიათ ხუთ დასახრჩობად გამზადებულ პატიმარს და მეტეხის ციხის მცველებს, ზედამხედველებსა და პოლიციას.

რამდენადაც ჩვენ შევკრიბეთ ცნობები, საქმე ასე მომხდარა. საღამოს ხუთ საათზე ციხის ეზოში გამოუყვანიათ პატიმარნი ალიკო მაგომაიბრაგიმ-ოღლი, ულუხან საფარ-მაგომა-ოღლი, ახმედ საფარ-მაგომაოღლი, აბდურახმან მაგომედ-ოღლი და ალექსანდრე ყულიევი, რომელთაც სიკვდილი ჰქონიათ გადაწყვეტილი. სასეირნოდ გამოსულ პატიმრებს იცავდნენ თურმე უფროსი მეთვალყურე ობიდინიკოვი, უმცროსი მეთვალყურე გრიშკო და ოთხი ჯარის-კაცი მინგრელსკის პოლკისა. პატიმრებს, როგორც ეტყობა, წინადვე განუზრახავთ მცველებზე თავდასხმა და გაქცევა. მოულოდნელად მისცვივნიან უფროს მეთვალყურეს ობიდინიკოვს და წაურთმევიათ ხმალი, წაუვლიათ ყელში ხელი და დახრჩობა მოუნდომებიათ. ობიდინიკოვი გაქცეულა საკატორგო პატიმართა განყოფილებისაკენ, პატიმარნი დასდევნებიან, მაგრამ მალე ჯარის-კაცებს გადაუღობნიათ მათვის გზა და სროლა დაუწყიათ ამ დროს პოლიტიკურთა განყოფილების დერეფნიდან რევოლვერით ხელში გამოვარდნილა ამ განყოფილების ზედამხედველი გრიკშევიჩი, მაგრამ იგი მალე სასიკვდილოდ დაჭრილა. გაქცეულ ობიდინიკოვს დაჭრილ გრიშკევიჩისთვის გამოუტაცნია რევოლვერი, უსროლია ალექსანდრე ყულიევისთვის, რომელიც მას კვალდა-კვალ მისდევდა, და დაუჭრია. ამის შემდეგ იგივე ყულიევი და ულუხან საფარ-მაგომა-ოღლი შევარდნილან საკატორგე პატიმართა განყოფილების დერეფანში, და სცემიან დარაჯს ივანე დუბოგრიზოვს; ულუხან-ოღლის დაუკრავს ხმალი მისთვის და იქვე უგრძნობლად დაუცია. მერე ამ პატიმარს გამოუგლეჯნია დარაჯისთვის თოფი და პატრონები, შევარდნილა მეორე დერეფანში და იქ ერთ კუთხეში თოფმომიზნებული ჩასაფრებულა. ვინც ამ ადგილს მიუახლოვდებოდა იგი თოფს ესროდა თურმე. მეორესთვის, ალექსანდრე ყულიევისთვის საკატორგე პატიმართა განყოფილების დერეფანში მიუსწვრიათ, უსროლიათ და მოუკლავთ.

ესენი რომ ამ აბავში იყვნენ, დანარჩენი პატიმარნი, ახმედ-საფარმაგომა-ოღლი, ალექო იბრაგიმ-მაგომა-ოღლი და აბდურახმან მაგომედ-ოღლი გაქცეულან იმ განყოფილებისაკენ, სადაც სასიკვდილოდ დასჯილი პატიმრები არიან. ამ განყოფილების ზედამხედველის სარდიკასთვის მსწრაფლ გამოუგლეჯნიათ რევოლვერი, დაუხლიათ და იქვე

მოუკლავთ. იქვე დაუჭრიათ მსუბუბუქად ჯარის-კაცი ინდიუკოვი და იმისთვისაც წაურთმევიათ თოფი, შემდეგ აქა-იქ ჩასაფრებულან და აუტეხნიათ სროლა. ყველა ზემოდ აწერილი ისე სწრაფად და თვალის დახამხამებაზე მომხდარა, რომ მცველებსა და დარაჯებს ვერა მოუხერხებიათ-რა.

ეს ამბავი ხელად აცნობეს ქალაქის კომენდანტს, პოლიცმეისტერს და სხვებს. მალე გამოჩნდნენ კამენდანტი და პოლიცმეისტერი, მოიყვანეს აგრეთვე ჯარის კაცები და მეტეხს გარედან ალყა შემოარტყეს. მიიღეს ზომები ჩასაფრებულების შესაპყრობად, მაგრამ ისინი არ დანებდნენ და ყველანი დაიხოცნენ. პირველად განიზრახეს ჩასაფრებულ ულუხან-საფარ-მაგომა ოღლის შეპყრობა. ერთს კუთხეში მიმალულ ულუხანოღლის დერეფნის კარები მიეხურა და იქიდან უთვალთვალებდა. როგორც კი მისულთ კარები გამოუწევიათ, ულუხანს თოფი გაუსროლია, მაგრამ აუცდენია. ჩასაფრებულს რამდენჯერმე გაუსროლია ასე თოფი, მაგრამ ვერავისთვის ვერ მოურტყავს. მერე ულუხან-საფარი უცბად გამოვარდნილა საფარიდან და გაქანებულა იქით, სადაც კამენდანტი და სხვა აფიცრები მდგარან, მაგრამ დაუხლიათ მისთვის რევოლვერი და იქვე მოუკლავთ.

არ დანებებულა არც დანარჩენი სამი კაცი. ესენიც, ჩასაფრებულნი, ისროდნენ და ახლო არავის უშვებდნენ. გადაუწყვეტნიათ მეორე კუთხიდან მოვლა. მართლაც, გამოუმტვრევიათ ფანჯარა, შესულა აქედან ორი ბოქაული და ატეხილ სროლის დროს სამივე ჩასაფრებული მოუკლავთ. დახოცილებს აღმოაჩნდათ რევოლვერი და 6 გილზი.

პატიმრებთან ბრძოლის დროს მძიმედ დაიჭრნენ საპატიმროს ზედამხედველები ისაკოვი და გრიშკო. დაჭრილი ჯარის-კაცი საველი კოვალენკო გაჰგზავნეს მიხეილის საავადმყოფოში. ჯარის-კაცს რაღაც იარაღი აქვს თავში დაკრული.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 მაისი

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** სამხედრო შმართველობამ ოფიციალურად შეატყობინა გაზეთებს და მთავრობის დაწესებულებებს, რომ რეაქციონერების მიერ დაარსებულ მაჰმადიანთა საზოგადოებას „ვოთან"-ს ამას იქით დაარქვან სახელი იმ გაზეთისა, რომელსაც ეს საზოგადოება სცემდა, რადგან თავის ბოროტ მოქმედების გამო იგი ულირსია ატაროს სახელი წინასწარმეტყველისა.

ხმა დადის, რომ კუნძულ კრიტოსისაკენ გაჰგზავნიან ესკადრას, ერთის ჯავშნოსნისა და ორის კრეისერისაგან შემდგარს.

სომხის კათალიკოსი იზმირლიანი ხვალ მიდის პეტერბურგში.

**ვენა.** იმპერატორმა ფრანც-იოსებმა დიდებულ აუდენციით მიიღო ოსმალეთის დეპუტაცია, რომელიც ტევფიკ-ფაშას მეთაურობით გუშინ მოვიდა შესატყობინებლად, რომ ოსმალეთის ტახტზე ავიდა სულთანი მაჰმად მეხუთე. დეპუტაციამ სულთნის საკუთარ ხელით დაწერილი წერილი ჩააბარა იმპერატორს.

**სალონიკი.** უკანასკნელ დროს ისევ გახშირდა მკვლელობა მაკედონიაში.

მთავრობის მოქმედება ხელს უწყობს, რომ არა მშვიდობიან ელემენტებმა წინანდებული ბოროტმოქმედება დაიწყონ რაღაც ეროვნულ იდეის სახელით. უკანასკნელ ოც დღეში მოჰკლეს 19 ბოლგარი; მკვლელები უფრო ხშირად ბერძნის კომიტეტის აგენტები არიან. ქალაქ სკეჩში 19 მაისს ბერძნებმა მოჰკლეს ცნობილი მეფაბრიკე ბოლგარი ხაჯი გიორგიევი, რომელიც საქონელს აბარებდა რუსის ფაბრიკებს. ჰფიქრობენ, რომ ბოლგარებიც სამაგიეროს გადუხდიან ბერძნებს და მაშინ დაიწყება ძველი ბრძოლა და სისხლის ღვრა, რომელიც გააუარესებს მდგომარეობას ბოლგარიაში.

### სპარსეთი

**თავრიზი.** ოსმალეთის საკონსულოში ბესტში მჯდომარეთა რიცხვი თანდათან კლებულობს, ეხლა იქ 20-ზე მეტი კაცი აღარ ზის. თავრიზში ავრცელებენ პროკლამაციებს, რომლებშიაც მკაცრადაა დაგმობილი წინანდელი ყაჩაღური მოქმედება და ეხლანდელი საქციელი სათარ-ხანისა და ბაღირ-ხანისა. მათი სახელი ძლიერ დაეცა ხალხსა და რევოლიუციონერებში; მათ აღარავინ ეძახის სარდალსა და სალარსა. ვაჭრებმა, რომ უსწორ-მასწორო მითქმა-მოთქმის საბუთი არ მიეცათ არავისთვის, ბაზრები გააღეს. თვით 20 მაისს, მაჰმადის გარდაცვალების დღეს, თავრიზში სრული სიწყნარე იყო.

**ბერლინი.** ვოლფის სააგენტოს ოფიციალურად ატყობინებენ თეირანიდან, რომ სეპეხდარმა მიიღო თანამდებობა გილანისა და მაზანდერანის გუბერნატორისა. შერიფულ-დოულე დანიშნეს კაზვინის გუბერნატორად, რევოლიუციონერები არ დაკმაყოფილდნენ ამ გამწესებით.

### საზღვარ-გარედ.

**ვენა.** დეპუტატთა პალატაში, ბოსნიის სადგილ-მამულო ბანკზე კამათის დროს, კრამარჟმა სთქვა, რომ ავსტრიელმა მოღვაწეებმა უნდა მოიშოროს ზნეობრივი უფლება ბოსნიაზე, რაც აქამდე დავიწყებული იყო. მერე კრამარჟმა გაიხსენა თავისი მოგზაურობა პეტერბურგში და აღნიშნა, რომ იგი მუდამ ქადაგებდა ავსტრიის დაახლოვებას რუსეთთანა. სოციალ-დემოკრატმა დაშინსკიმ მკაცრად გაჰკიცხა კრამარჟის სალოცავად წასვლა პეტერბურგში; ამ წასვლაში, მისი აზრით, თავი იჩინა ცრუ და წვრიმალმა ტომებრივმა ფანატიზმმა, ხოლო ამ ფანატიზმსაო, სთქვა დაშინსკიმ, ჩვენ ყველანი მრავალ მილიონ დარიბ და დაჩაგრულ რუსის ხალხთან ერთად მოვალენი ვართ წინააღმდეგობა გავუწიოთო. ავსტრია-უნგრეთმა უნდა მუდმივი შეთანხმება დასდოს ბალკანეთის სახელმწიფოებთან საერთო ინტერესების საფუძველზეო.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა განაგრძობდა კამათს ბოსნიის სადგილ-მამულო ბანკზე. დეპუტატმა შრამეკმა სთქვა, რომ ჩეხ კათოლიკეთა ეროვნული კლუბი არ ეთანხმება კრამარჟის აზრსაო. პარტია დარწმუნებულია, რომ ავსტრიას საკმაო უნარი აქვს სიცოცხლისა და ისე არას დროს არ დამცირდება, რომ ან რუსეთს დაემორჩილოს ან გერმანიას. ჩეხებს სულაც არა აქვთ იმედი ოფიციალურ რუსეთისა, მაგრამ ამავე დროს ჩეხები გადაჭრით უარ-ჰყოფენ რუსეთის საქმეთა ისეთ კრიტიკას, რომელიც აქ გააკეთა დაშინსკიმ.

### რუსეთი

**ნოვოჩერკასკი.** გამოირკვა, რომ სადგურ როვენკაზე თავდასხმის დროს ბოროტ-განზრახველებს მოუკლავთ ბუფეტის პატრონი, დაუჭრიათ მისი ცოლი.

**ოდესსა.** ოდესის მაზრის სოფ. ჩერვონკაში პოლიციამ აღმოაჩინა ყალბი ფულის ქარხანა. დაიჭირეს ორი კაცი. ესენი აღმოჩნდნენ აკერმანის სატუსაღოდან გაქცეულნი.

**პეტერბურგი.** სენატმა მოისმინა ექიმ კოსარევიჩის საკასაციო საჩივარი, რომელსაც სასამართლომ 1 წლით ტუსაღთა განყოფილება გადაუწყვიტა. სენატის დადგენილებით ამ საქმეს ხელ-ახლა განიხილავენ.

დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1.

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**გადასვლა ერთი სარწმუნოებიდან მეორეში.**

წვრილმან კანონ-პროექტების მიღების შემდეგ სათათბირო 22 მაისის სხდომაზე შეუდგა დიდად საყურადღებო კანონ-პროექტის განხილვას. ამ კანონ-პროექტით უნდა შეიცვალოს ის ძველი კანონები, რომელიც შეეხება ერთი სარწმუნოებიდან მეორეში გადასვლას. სათათბირომ კომისიას წარუდგინა თავისი მოხსენება კანონ-პროექტის შესახებ. მთავრობის მიერ შემუშავებულ კანონ-პროექტში ნათქვამია: ქრისტიანი, რომელიც 21 წლისა შესრულდება და რომელიც მოისურვებს იმ არა ქრისტიანულ სარწმუნოებაში გადასვლას, რომელსაც წინად ის ან მისი დედ-მამა, ან წინაპრები ეკუთვნოდნენ, უნდა გამორიცხულ იქმნას ქრისტიანთა რიცხვიდანაო. კომისიამ ეს რედაქცია უარ-ჰყო და კანონ-პროექტში შეიტანა ასეთი რედაქცია: ყველას, ვინც 21 წლისა შესრულდება, უფლება აქვს გადავიდეს იმ სარწმუნოებაში, რომელსაც მოისურვებს, გარდა იმისა, რომლის წევრობა ისჯება სისხლის სამართლით.

როგორცა ჰხედავთ, ცვლილება დიდია და კიდეც ამიტომ შეშფოთდნენ მთავრობის წევრნი და მემარჯვენენი. ამ სხდომას დაესწრო თითქმის ყველა მინისტრი. ჩაეწერა 81 ორატორი.

პირველი სიტყვა წარმოსთქვა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სტოლიპინმა. მან ძალიან დიდ ხანს ილაპარაკა. იცავდა სამინისტროს პროექტს და უარს ჰყოფდა კომისიის მიერ შეტანილ ცვლილებებს. ყოვლად შეუძლებელიაო დაკანონება თავისუფლად გადასვლისა ერთი სარწმუნოებიდან მეორეში. ასეთი სარწმუნოებრივი თავისუფლება არც ერთ სახელმწიფოში არ არსებობს და, გარდა ამისა, იგი არ შეეფერება „რუსულ სულს, რუსულ ხასიათსაო". ნუ დაივიწყებთო, სთქვა ორჯელ სტოლიპინმა, რომ ეს კანონი უნდა წარედგინოს რუსის ხელმწიფეს, რომელიც ას მილიონიან რუსის ხალხისთვის იყო, არის და იქნება მართლ-მადიდებელი მეფეო.

საინტერესოა, რომ ამ კანონ-პროექტს ოქტომბრისტების პარტია ისევე მტკიცედ იცავს, როგორც სტარო-ობრიადცების შესახებ კანონ-პროექტს. ოქტომბრისტების ორატორმა ფრაქციის სახელით პირდაპირ განაცხადა, რომ სარწმუნოების მიღებისა და გამოცვლის საქმეში არავითარი შეზღუდვა და შევიწროება არ უნდა იყოსო.

ილაპარაკეს მემარჯვენე ეპისკოპოსებმა ევლოგიმ და მიტროფანემ. ისინი, რა თქმა უნდა, ცეცხლს აფრქვევდნენ იმ ცვლილებების გამო, რომელიც კომისიამ შეიტანა.

კადეტების ტრუდოვიკებისა და სოც.-დემოკრატების ორატორებმა მხნედ დაუჭირეს მხარი კომისიის მიერ შემუშავებულ კანონპროექტს.

72 ორატორმა კიდევ უნდა წარმოსთქვას სიტყვა. ეხლავე აშკარადა სჩანს, რომ სათარბიროს უმრავლესობა კომისიის მიერ შემუშავებულ ცვლილებას დაუჭერს მხარს. მთავრობას კი, როგორც ეტყობა, არ უნდა ამ ცვლილებების მიღება ვნახოთ, როგორ გათავდება საქმე.

## ცოტა რამ წერა-კითხვის საზოგადოების შესახებ

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მოქმედების ახალ ხანაში შესდგა ფეხი. იმის განყოფილებების დარსებისა შესახებმო გახსენებთ. ამ განყოფილებების დაარსება რამდენიმე პირის უბრალო სურვილებას არ უნდა მიეწეროს, ისინი ჩვენი ცხოვრების არსებითმა საჭიროებებმა დაჰბადეს. სანამ კულტურულ მუშაობისადმი ინტერესი ფართო წრეებში არ იყო გაღვიძებული, ტფილისში არსებულ საზოგადოებას ადვილად შეეძლო ხელმძღვანელობა გაეწია კულტურულ საქმებში. ამასთან ერთად ყოველ-გვარი კულტურული დაწყებულება ბუნებრივად ამ საზოგადოებაში ისადგურებდა, როგორც ჩვენს ერთად-ერთ კულტურულ დაწესებულებაში. სიმპატია წერა-კითხვის საზოგადოებისადმი იმდენად დიდი იყო, რომ ზოგიერთი ჩვენი პუბლიცისტი ამტკიცებდა, რახან კულტურული ავტონომია არა გვაქვს, დაე წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გასწიოს ამ ავტონომიის მაგიერობაო. უკიდურესობაა, რა თქმა უნდა! და ეს უკიდურესობა უკვე აღინიშნა თავის დროზე ჩვენს გაზეთში.

საზოგადოებამ, როგორც იქნა, სძლია რუტინას, ძველს ტრადიციები გადალესა და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების პროვინციალურ განყოფილებების დაარსების ახალი ხანა შექმნა. ბევრი მტკიცება არა სჭირდება იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნებათ ჩვენს ცხოვრებაში ამ განყოფილებებს. ადგილობრივი ძალები, რომელნიც აქამდის სრულიად მოწყვეტილნი იყვნენ საზოგადოების საქმეებს და პირადად ვერავითარ დახმარებას ვერ უწევდნენ, ეხლა საზოგადო აქტიურ საქმიანობაში ჩაერევიან და სახალხო განათლების საქმეს, უეჭველია, წინ წასწევენ.

მაგრამ ამაზე გაჩერება დიდათ შეცდომა იქნება. რომ წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ნაყოფი გამოიღოს, მისი მოქმედება ძალიან ინტენსიური და სისტემიანი უნდა გახდეს. საუბედუროდ, საზოგადოების მოქმედებაში განსაზღვრულ სისტემას ვერა ვხედავთ. საზოგადოების სათავეში მდგომი პირები აქ არაფერს შუაში არიან. ისინი იმდენადვე არიან დამნაშავენი ამ უსისტემობაში, რამდენადაც თვითოეული წევრი ქართულ საზოგადოებისა. მიზეზი ამ უსისტემობისა უნდა ვეძებოთ იმ ყალბ წარმოდგენაში, რომლითაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება საქართველოს მთელ კულტურულ ცხოვრების ცენტრად არის გადაქცეული. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ვერც კულტურულ ავტონომიის მაგიერობას გასწევს და ვერც მთელი ცხოვრების ცენტრად იქცევა. იგი ძალიან მარტივი კულტურული დაწესებულებაა, რომელიც განსაზღვრულ მიზანს, სახელდობრ, ქართველ ხალხში სწავლა-განათლების საქმეს ემსახურება. თავის თავად სწავლა-განათლების გავრცელება იმდენად დიდი საქმეა, რომ თუ წერა-კითხვის საზოგადოებამ ფეხი და უნარი გამოიჩინა, ძალიან დიდი ასპარეზი გადაეშლება სამოქმედოდ.

ნამდვილად კი საზოგადოება ამ თავის მიზანს, თავის პირდაპირ დანიშნულებას, მგონია, ნაკლებ ყურადღებას აქცევს. ეს კი იქიდან წარმოსდგება, რომ საზოგადოებას ათასი იმნაირი საქმე დაახვიეს კისერზე, რასაც პირდაპირ სწავლა-განათლების გავრცელებასთან კავშირი არა აქვს.

აუცილებლად საჭიროა ამასაც ბოლო მოეღოს. ავიღოთ, მაგალითად, მუზეუმი და საზოგადოდ არქეოლოგიური სიძველენი. სანამ ჩვენში ერთად-ერთი კულტურული დაწესებულება იყო, ეს არქეოლოგიური სიძველენიც ბუნებრივად იქა გროვდებოდა. მაგრამ ეხლა, როდესაც შრომის განაწილება ჩვენს თვალ-წინა ხდება, რა საჭიროა ამ არქეოლოგიურ ნაშთების შეგროვება ისეთს დაწესებულებაში, რომელსაც არქეოლოგიასთან პირდაპირი კავშირი არა აქვს? უფრო კარგი და სასარგებლო

# კამათის დასასრული

ცოტა არ იყოს, ვყოყმანებდი, კალამს რომ ვკიდებდი ხელს. დაუსრულებელი კამათი არა მარტო მკითხველისათვის არის მოსაწყენი, დამწერისათვის კიდევ მეტად. შარშანდელს აქეთ დიდი დავა გვაქვს ბ-ნ ანს და მე. ერთმანეთი ვერ დავიყოლიეთ. საგანი კამათისა კი გამოურკვეველი დარჩა.

პასუხი ძლიერ დაგვიანდა. ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე. ჩემდა დამოუკიდებელ მიზეზისა გამო. რაც უნდა მეთქვა შემოდგომის დამდეგს, ვახერხებ თქმას მხოლოდ ზაფხულის პირზე. როგორც მოგახსენეთ, ჩემს ნაწერს პოლემიკური ხასიათი უნდა შივცე. „პოლემისტობა" ქართველი მწერლის ხვედრია. მას სხვა გზა არა აქვს. ეს ზღუდეა, საიდანაც თითქოს გასავალიც კია დახშული. ამ ზღუდეში თვით ჩვენი ცხოვრებაა ჩაჭედილი.

ქართულ პოლემისტობას ასაზრდოვებს საზოგადოებრივი დაქსაქსულობა. ჩვენი საზოგადოება ისე ეკონომიურად არ არის დაქსაქსული, როგორც ზნეობრივად და იდეიურად. მართალია, ფეოდალურ საქართველოს ბოლო ელება, მართალია, თან და თან კლასიურ საზოგადოების შენობა შენდება ჩვენში, მაგრამ საგულისხმო ის არის, რომ ცხოვრების ამ რეალურ განხეთქილების პირობებში კი არ ჰმუშავდება ნიადაგი იდეიურ დაქსაქსულობისა, არამედ სულ სხვა პირობებში. უკანასკნელ წლების განმავლობაში ჩვენს მწერლობაში მკაცრი წინააღმდეგობა და „შეტაკება ძველსა" და „ახალ" შორის არ არის[1]). „ახლებიც" ვერ მორიგებულან. და სწორედ აქ იშლება გულსაკლავი სურათი ენერგიის და ძალ-ღონის უქმად გაფლანგვისა. უქმად, მეთქი, ამას იმიტომ ვამბობ, რომ საუბედუროდ მოპირდაპირეთა შორის კამათი ყოველთვის სასურველ პრინციპიალურ სიმაღლეზე არ სდგას ხოლმე.

ასეა თუ ისე, ბ-ნ ანს პასუხი უნდა გავცე. გაჩუმება შეუძლებელია. ჩვენი კამათი ქართულ ცხოვრების ძირითად, სამკვდრო-სასიცოცხლო კითხვებს ეხება. ბ-ნ ანის აზროვნება არის აზროვნება ჩვენი საზოგადოების ერთის ნაწილისა. ამ აზროვნებას ავრცელებენ ხალხშიაც. პარლამენტის ტრიბუნაზედაც იგი მკვიდრად დაბინავებულა.

ბ-ნ ანს ყოველ მის კრიტიკულ შენიშვნაზე („სადავო კითხვები", „ეკალი" №№ 1, 2, 3, 4, 9 10. 1908 წ.) პასუხს ვერ გავცემ. ზოგიერთი შენიშვნის უმნიშვნელობა იმდენად აშკარაა ჩემთვის, რომ გაკვრითაც არ მოვიხსენიებ. ასე რომ ბ-ნ ანმაც იცოდეს, მკითხველმაც, რომ ყურადღებას ვაქცევ ამ წერილებში მხოლოდ იმას, რაც ყურადღების ღირსია. ხოლო აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩემს საპასუხო წერილებში არ შევეხები ამ ჟამად იმ „სადავო კითხვებს", რომელნიც ჩვენებურ თანამედროვე პოლიტიკურ პარტიათა ვითარებას შეეხება. არ შევეხები იმიტომ კი არა, რომ ეს საგანი და მასზე გამოთქმული ბ-ნ ანის მიერ კრიტიკული შენიშვნები უმნიშვნელო იყოს, არამედ იმიტომ, რომ განზრახვა მაქვს ამ საგანს უფრო ვრცელი წერილი ვუძღვნა და ეს წერილი, საბუთებზე დამყარებული, იქნება პასუხი ბ-ნ ანის გაცეცხლებულ გამოკამათებაზედაც. მაშასადამე, საპასუხო საგანს, რაც კი შესაძლებელია, ვზღუდავ და ვამოკლებ, რათა მეტის ხაზ-გასმით გამოჩნდეს ის, რაც ჩვენი საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრების ტკივილს და ბოლმას შეადგენს.

მოკლედ მოვაგონებ მკითხველს სადაო საკითხების დედა-აზრს, ბ-ნი ანი ამბობს[2]):

ეროვნება შეჰქმნა ვაჭრობა-მრეწველობამ. ეროვნება არის ახალი დროის, კაპიტალიზმის შვილი. ძველს ისტორიაში არც ეროვნული ცხოვრება იყო, არც ეროვნება იყო შექმნილი, საქართველოშიაც არ იყო ეროვნულ ცხოვრების ნიშან-წყალი, რადგან ჩვენს წარსულში არავითარი მოქალაქობრივი ცხოვრება არ იყო—არა გვქონდა არც ქალაქები, არც სავაჭრო ცენტრები, არ იყო განვითარებული ვაჭრობა-მრეწველობა და, მაშასადამე, ეროვნულ შემეცნების შემუშავებისათვის ნიადაგი არ იყო. მხოლოდ დღეს, კაპიტალიზმის ხანაში, ისახება ეროვნულ ცხოვრების ნიშნები. კაპიტალიზმი რუსეთმა შემოიტანა ჩვენში და მან გაუკაფა გზა ქართველ ერს ეროვნულ ცხოვრების აღორძინებისაკენ. აქედან გამომდინარეობს ისტორიული საჭიროება ქართველებისათვის რუსეთთან მჭიდროდ დაკავშირებისა, უარ-ყოფა ავტონომისტთა მისწრაფებათა და აღიარება და დაცვა რუსეთის სახელმწიფოებრივ ცენტრალიზმისა და მთლიანობისა.

ჩემი პოზიცია სხვაგვარია.[3]) ეროვნების ჩასახვის და შემუშავების პროცესში სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას მთავარი ადგილი უჭირავს. ეს აზრი განსაკუთრებით ნათლად მტკიცდება საქართველოს ისტორიის გათვალისწინებით აქ ეროვნული და სახელმწიფოებრივი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან გადაბმულნი. ეს კავშირი სრულიად არ ამცირებს ვაჭრობა-მრეწველობის ფაქტორს ეროვნულ კულტურის განვითარების საქმეში. ამისი საბუთიც მოიპოვება საქართველოს ძველს ისტორიაში, სადაც, ზოგიერთ საუკუნეთა გამოკლებით, მოქალაქობრივი ცხოვრებაც იყო, და ვაჭრობა-მრეწველობაც საკმარისად განვითარებული. მაგრამ მთავარი ძალა ქართულ ეროვნების ჩასახვისა და განვითარებისა ძველს დროში ერთმეფობა იყო. და რუსეთის შემოსვლისათანავე სწყდება კავშირი ამ ძალისა და ეროვნულ კულტურის შორის. და მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა დაამყარა ჩვენში გარეგნული მშვიდობიანობა, ქართულ ეროვნების განვითარებისათვის მან შეჰქმნა ფრიად უვარგისი პირობები. აქედან გამომდინარეობს ისტორიული საჭიროება ქართველებისათვის იმ პოლიტიკურ პირობათა აღდგენისა, რომელნიც უზრუნველ-ჰყოფენ საქართველოს კულტურულ განვითარებას. ეს პირობებია—ეროვნულ ავტონომიის დაფუძნება საქართველოში და რუსეთთან საერთო პოლიტიკურ ინტერესების გამტკიცებასთან ერთად წამოყენება და აღიარება საქართველოს და კავკასიის განსაკუთრებულ ინტერესებისა.

ამ ტეზისების და აქედან გამომდინარე აზრებს გარეშემო ტრიალებს ჩვენი კამათი. მკითხველი აშკარად დაინახავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დღევანდელ პრაქტიკულ პოლიტიკის ნათელსაყოფად ამ საკითხების ასე თუ ისე გადაწყვეტას. ამიტომ ვბედავთ და ჩვენს დაგვიანებულ პასუხს დღეს ვუზიარებთ მას.

მსოფლიო ისტორიაში საზოგადოებრივობის ორი დიდი ფორმა იყო. ერთი იყო სხვგვარეული წყობილება, მეორე—პოლიტიკური საზოგადოება, სახელმწიფო. გვარსა და სახელმწიფოს შუა სდგას თემი. თემს ორიგინალობა და ჩამოყალიბებული სხეული არა ჰქონდა. თემი მუდამ მოძრაობაში იყო. იგი წარმავალი ფორმაა საზოგადოებრივობისა. თემი გვარისაგან წარმოსდგა. გვარი ოჯახებად დაიყო. ოჯახების შეერთებიდან ჩნდება თემი.

**მაგრამ თემობა პოლიტიკურ საზოგადოების დამყარებას არ ნიშნავს.** პოლიტიკური საზოგადოება იბადება რამდენიმე თემის ერთად შეერთებიდან. ამ კავშირში სუსტდება ნათესავური კავშირი და ვითარდება კავშირი ტერიტორიალური, კულტურული და ეროვნული. არსდება სახელმწიფო და ჩნდება ეროვნება.

ბ-ნ ანის აზრით საქმე ასე არ უნდა ყოფილიყო. სახელმწიფოს გაჩენასთან ეროვნება ჯერ კიდევ არ გამოსახულა. თემი, რომელიც იგივე სახელმწიფოა, გვარის დაშლიდან წარმოსდგა; თემობის ხანაში კი ეროვნებას ადგილი არა აქვს. იგი ჩნდება შემდეგ და „მაშასადამე სახელმწიფო უეროვნობოთ შესაძლებელი ყოფილაო". და რათა ეს სოციოლოგიური დებულება უფრო ნათელ-ჰყოს, ბ-ნი ანი ისტორიას იშველიებს და ამტკიცებს, რომ რომსა და ათინაში, ამ ორ თემურ (?) სახელმწიფოში, არავითარი ეროვნული კულტურა არ აღორძინებულაო. ამ ისტორიულ საბუთს ჩვენ ქვემოდ ავსწონ-დავსწონავთ, ეხლა-კი უნდა მოვახსენოთ ბ-ნ ანს, რომ მისი სქემა კაცობრიობის განვითარებისა შემცდარი სქემაა. ცნობილი მორგანი, რომელსაც იხსენიებს ბ-ნი ანი, სრულიადაც არ ადასტურებს იმგვარ აზრს, ვითამ თემი სახელმწიფო იყოს და ვითამც სქემა განვითარებისა ყოფილიყოს ბ-ნ ანის მიერ ნაჩვენები სქემა, ე. ი. გვარი, თემი (იგივე სახელმწიფო), ეროვნება. მოკლედ რომ ვთქვათ, მორგანი აი რას ამ-

[1]) «ზოგიერთა» მიმართულება; რომელიც ნელ-ნელა ფეხს იკიდებს ქართულს პრესაში, ჯერ ზნობით ჩასათვალავი არ არის.

[2]) «ცისკარი», 1908 წ., NN 9, 11; «აზრი», NN 1, 3; «ცხოვრების ხარკე» NN 18, 20. 23; «ნაპერწკალი», N 3; „მერცხალი", NN 2, 6, 20; „ეკალი", NN 1, 2, 3, 4, 9. 10.

[3]) „სამშობლო და მამულიშვილობა"— „ამირანი", 1908 წ. NN 36, 40, 41. 42, 44, 45, 46, 47, 48, «ისტორიის სამართალი». იქვე NN 57, 61, 62, 63. «ვიდემ წარსული და მისი ანდერძი», იქვე NN 86, 87, 88, 89, 90.

...ქნება ყველა ამ არქეოლოგიურ ნაშთებისა და, საზოგადოდ, მუზეუმისთვის ზრუნვა წერა-კითხვის გამავრცელებულმა საზოგადოებამ ჩვენს მეორე კულტურულ დაწესებულებას —ისტორიულ და ეთნოგრაფიულ საზოგადოებას მიანდოს. ულმობელი ლოღიკა ცხოვრებისა ამას გვიკარნახებს და ჩვენც მას უნდა ავყვეთ. შრომის განაწილება საუკეთესო თავმდებია ნაყოფიერ მუშაობისა. შრომის განაწილებისთვის სათანადო პირობებია საჭირო. ეს პირობები კი ჩვენ უნდა შევქმნათ.

კიდევ ბევრი სხვა საქმე აქვს დაკისრებული საზოგადოებას, მაგრამ იმედია, მოქმედების გაფართოვებით და სხვა კულტურულ საზოგადოებათა დაარსებით თან და თან ყველა ეს საქმე ჩამოშორდება.

როდესაც საზოგადოება თავის პირდაპირ დანიშნულების აღსრულებას შეუდგება, მაშინ საქმიანობასაც, უეჭველია, მეტი ნაყოფიერობა და სისტემა დაემჩნევა...

**არ. ჯ—შვილი.**

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ჩამოხრჩობა.** 23 მაისს, დილის 4 საათზე, საგუბერნიო საპატიმროს ეზოში ადმინისტრაციამ სისრულეში მოიყვანა კავკ. სამხედრო ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ჩამოხრჩობა ჰქონდა გადაწყვეტილი სამსონ სამხარაძეს. სამხარაძეს ჰბრალდებოდა „გოროდოვოის“ როდინას მოკვლა.

✦ **ბანკის კრება.** გუშინ, 23 მაისს, დილის 11 საათზე, დაიწყო კრება სათავად-აზნაურო სადგილმამულო ბანკის რწმუნებულებისა. გამოცხადდა 50 რწმუნებულზე მეტი. თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა გ. ნ. ყაზბეგი. ვიდრე საქმეთა განხილვას შეუდგებოდნენ, კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ამას წინად გარდაცვალებულ ბანკის დირექტორის ვ. ა. სულხანიშვილის ხსოვნას. შემდეგ ბ-მა ზ. მაღალაშვილმა განაცხადა, რომ ბევრი რწმუნებული უკანონოდ იღებს მონაწილეობას კრებაში და საჭიროა კრებამ ამის გამოსარკვევად თათბირი იქონიოს. კრებამ უარ-ჰყო განცხადების არსებითად განხილვის საჭიროება და შეუდგა ანგარიშის განხილვას. ანგარიშის წაკითხვის შემდეგ ზოგმა რწმუნებულმა მოითხოვა კრების გადადება ერთი დღით მაინც, რადგან ანგარიში გვიან დაგვირიგეს და გაცნობა ვერ მოვასწარითო.

კრებამ შეიწყნარა ეს განცხადება და სხდომა ორშაბათს, 25 მაისისთვის გადასდო.

✦ **სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოება.** კავკასიის სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოების საბჭოს 12 წევრმა სამსახურს თავი გაანება საზოგადოების უკანასკნელ კრებაზე მომხდარ ინციდენტისა გამო. საქმე იმაშია, რომ საბჭომ კრებას წინადადება მისცა შეძლებული ვაჭარი აფრიკიანცი საზოგადოების საპატიო წევრად აერჩია, რადგან იგი 4700 მანეთს სწირავს ყოველ წლობით საზოგ დოების სკოლებსაო. ამისი წინააღმდეგნი გახდნენ არაქელიანცი და სხვა მშაკისტები, 10-მდე კაცი. კამათმა ისეთი ხასიათი მიიღო, რომ 20 წევრი კრებიდან წავიდა. საბჭოზე უფრო ცუდად იმოქმედა იმ გარემოებამ, რომ კრებიდან აკოფიანციც წავიდა, რომელსაც ანდერძი გაუკეთებია საზოგადოების სახელზე და დიდ-ძალ ქონებას უტოვებდა თურმე. ანდერძი მხოლოდ მის გარდაცვალების შემდეგ უნდა გაიხსნას. ბოლოს კრებამ თუმცა ხმის უმეტესობით აფრიკიანცი აირჩია, მაგრამ მშაკისტების ზემოდ ხსენებული განცხადება უნდობლად მიიღო საბჭომ და სამსახურიდან გადადგა. 27 მაისისთვის სხდომაა დანიშნული საქველმოქმედო საზოგადოებისა ამ ინციდენტის გამო.

✦ **ალექ. სუმბათაშვილის ახალი პიესა.** შაბათს, 30 მაისს, ქართველ მსახიობთა ამხანაგობა წარმოადგენს ალ. სუმბათაშვილის ახალ პიესას, რომელმაც მთელი რუსეთის სცენები მოიარა. პიესას სახელად ჰქვიან „წინამძღოლნი“. ავტორს აღებული აქვს ახლო წარსული (მოქმედება სწარმოებს 1901—1905 წლებში.) ქართული დასი დიდი ხანია ამზადებს ამ პიესას. მონაწილეობას იღებენ, სხვათა შორის, ქ-ნი ნ. დავითაშვილი, მ. მდივანი; ბ-ნნი კ. მესხი, შალიკაშვილი, გუნია.

✦ **გამომკვლევი.** „კასპის“ პეტერბურგიდან ატყობინებენ: პეტერბურგიდან კავკასიაში გაიგზავნა რევიზორი ჩერვინსკი. ჩერვინსკიმ უნდა მოახდინოს ეკონომიური გამოკვლევანი. ამ გამოკვლევებს კავშირი აქვს კავკასიონის უღელტეხილზე რკინის გზის გაყვანის საკითხთან.

✦ **დიდი მიწის ძვრა.** როგორც ტფ. ფიზიკურ ობსერვატორიის მიერ აღნიშნულ ნიშნებიდან სჩანს, სადღაც შორს, ტფილისიდან 6 ნახევათას კილომეტრის მანძილზე, დიდი მიწის-ძვრა მომხდარა. ფიქრობენ, რომ მიწის ძვრა იაპონიისკენ მოხდა.

✦ **ზნე-ჩვეულებათა გამოკვლევა.** რუსულ გაზეთების სიტყვით, რუსეთის ეთნოგრაფიულმა და ანტროპოლოგიურმა საზოგადოებამ ტფ. გუბერნიაში პროფ. ხახანაშვილი გამოჰგზავნა ქართველთა ზნე-ჩვეულებებისა და ხალხურ შემოქმედების გამოსაკვლევად.

✦ **სახალხო თეატრი.** მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს, საღამოს, ცხრის ნახევარზე, ზუბალაშვილების სახალხო თეატრში ქართული სექცია გამართავს იაფ-ფასიან წარმოდგენას. წარმოადგენენ ტრ. რამიშვილის ცნობილ ოთხმოქმედებიან პიესას „მეზობლები“. ეს პიესა სექციამ პირველად 10 მაისს გამართა ზუბალაშვილების სახლში, მაგრამ ელექტრონის ჩაქრობისა გამო იძულებული გახდა მეორე მოქმედებაზე შეეჩერებინა.

✦ **ტრამვაის შესახებ.** ორი კვირის სიჩუმის შემდეგ ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა ინჟინერმა ლებონმა ისევ განახლა მოლაპარაკება ქალაქის გამგეობასთან. ლებონი ახალ განცხადებაში სთხოვს გამგეობას, შუამდგომლობა საკონცესიო ვადის გადიდებისა, გამოსყიდვის ვადის გაგრძელებისა, ფასის მომატებისა და სხვა. შემოდგომისათვის გადიდოს, ხოლო ამ ჟამად საბჭომ განიხილოს იმისი თხოვნა, რომ ორი წლის ვადით გადაიდოს ავჭალის ქუჩასა და ნაძალადევში გზების გაყვანა. თუ გამგეობა თანახმა იქნება, საზოგადოება აღარ განაგრძობს დავას სასამართლოში 60,000 მანეთის შესახებ, უარს იტყვის მუხრანის ხიდის დროზე დაუმთავრებლობისა გამო მოსალოდნელ ზარალზე და სხვა. ვნახოთ, რით გათავდება მოლაპარაკება.

✦ **სახალხო უნივერსიტეტის საყურადღებოდ.** როგორც გაზეთებში იყო გამოცხადებული და კერძოთაც გავიგეთ, სახალხო უნივერსიტეტი ემზადება 31 მაისისთვის სეირნობისა და ლატარია-ალეგრის გასამართავად. აშკარაა, უნივერსიტეტის გამგენი შეცდომაში არიან შესულნი. არ იციან, რომ ეს დღე (31 მაისი) ჯერ ისევ 15 მარტს სხვა საზოგადოებამ აილო. ამ დღეს სეირნობას და ლატარიას მუშტაიდში მართავს ქართველ ქალთა საზოგადოების სახელოსნო სკოლა. როგორც არა ერთხელ აღვნიშნავს, ამ სკოლა-სახელოსნოში უღარიბეს დედ-მამის შვილები სწავლობენ. სკოლის თითქმის ერთად-ერთი სახსარი ეს სეირნობა-ლატარიაა. როგორც ვთქვით, მან ჯერ ისევ მარტში აილო მუშტაიდი, ბოტანიკურ და მუშტაიდის ბაღების გამგის ბ-ნ როლლოვისაგან (ამაზეა დამოკიდებული მუშტაიდის გაცემა), ხოლო გუბერნატორისაგან—ნებართვა ლატარიის გასამართავად. მას აქეთ სკოლა მზადებაშია და, როგორც ამ ათიოდე დღის წინად გაზეთებშიაც იყო გამოცხადებული, სკოლაში გამოფენაც გამართა იმ ნივთებისა (მოწაფეების ნამუშევრისა), რომელიც ლატარიაში იქნება ჩაგდებული 31 მაისს. საჭიროა, უნივერსიტეტის გამგეებმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ და ეხლავე შეეცადნენ სხვა დღის აღებას, თორემ შეიძლება სეირნობა გაუცდეთ, რაც, რა თქმა უნდა, არავისთვის სასურველი არ იქნება. საზოგადოდ, უნივერსიტეტის გამგეებს უნდა ახსოვდეთ, შემდეგისთვის მაინც, რომ მუშტაიდის ბაღს სეირნობის გასამართავად ყოველთვის ბევრი მუშტარი ჰყავს და ამიტომ ამ ბაღის ასაღებად საზოგადოებანი ორი-სამი თვით ადრე სცდილობენ ხოლმე.

✦ **შრომის ბირჟის გამგის და თანაშემწის დათხოვნა.** ადმინისტრაციის განკარგულებით, ქალაქის გამგეობა იძულებული გახდა სამსახურიდან დაეთხოვა შრომის ბირჟის გამგე ლ. ახმეტელაშვილი და მისი თანაშემწე ბლოკი. ბირჟის დროებით გამგეობა დაევალა სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის ზედამხედველს ბაზოვს. როგორც ვიცით, ბირჟა 15 მაისს გახსნეს.

✦ **ხიდი მტკვარზე საბურთალოში.** როგორც ვიცით, საბურთალოს და დიდუბის სახლის პატრონებმა განიზრახეს მტკვარზე ხიდის აგება. რწმუნებულებმა ამ ორი დღის წინად წარუდგინეს ქალაქის გამგეობას პროექტი ხიდისა. ამ პროექტით ხიდის სიგრძე 58 საჟენი იქნება.

✦ **ნავთიანი ადგილები.** როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ტფილისის მაზრის სოფელ მარტყოფში ნავთიანი ადგილებია, რომელსაც კარგა ხანია ყურადღება მიაქციეს. ეხლა ამ ადგილების გეგმის გადასაღებად განსაკუთრებული კომისია მიდის. კომისიაში არიან ინჟ. ჯორჯაძე და გ. მახაბელი.

✦ **ჟურნალისტთა კრება.** დღეს, 24 მაის, დილის 10 საათზე ტფ. ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდება საზოგადო კრება ტფ ჟურნალისტთა საზოგადოებისა კრება, სხვათა შორის, განიხილავს ცნობილ ი. ხერატუროვის საქმეს.

✦ **სესხის განაღდება.** საფრანგეთის ბანკირების წარმომადგენელმა ვინმე ავეტოვმა განცხადება შეიტანა ტფ. ქალაქის გამგეობაში. ავეტოვი სწერს, ვკისრებ შუამდგომლობას ქალაქის 3 მილიონ მან. საობლიგაციო სესხის განაღდებლად. ავეტოვი ამბობს, რომ ფრანგ ბანკირების სინდიკატს იმოდენა შეძლება აქვს, რომ მას ქალაქ ტფილისისათვის ხელ საყრელ პირობებში შეუძლიან საობლიგაციო სესხის განაღდებაო.

✦ **თავად-აზნაურთა კრება.** დღეს, 24 მაისს, დილის 9 საათისთვის, ტფ. ქართულ თეატრის დარბაზში დანიშნულია ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება, რომელმაც უნდა განიხილოს რამდენიმე საქმე. ამ კრებაზე მოხდება აგრეთვე არჩევანი გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლისა და სხვათა. მარშლის თანამდებობაზე ასახელებენ თავ. ვ. ი. თუმანიშვილს.

✦ **არმავირ-ტუაპსეს რკინის გზა.** პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, არმავირ-ტუაპსეს რკინის გზის კონცესიონერები ლონდონში სესხს იღებენ. ამ სესხზე იმედს მოუწერია ხელი, რომ საჭირო თანხაზე (30 მილიონი) ბევრად მეტი შესულა.

✦ ბუხჰალტერიის კურსი ფილიასის წელს დაამთავრა 33 კაცმა. ამათში 15 სომეხია, 10 ქართველი, 5 რუსი და 2 ებრაელი. ქართველები არიან: ბედეკვანიშვილი; თ. გობაძე, გრ. კაიშაური, კაპანაძე, სიხო კალანდარიშვილი, ვ. თოხაძე, სულხანიშვილი, ლევან. თავართქილაძე, მიხ. თავართქილაძე და კდ. თავდგირიძე.

✦ 17 მაისს [illegible] ტერმჯუდრი [illegible] 58 წლის [illegible]

✦ 22 მაის, ღამის 2 საათზე, თავის ბინაზე სოფიო სალამ ბეკოვისამ კარბოლის სიმჟავე დალია. მოწამლული ქალი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, სადაც იგი გარდაიცვალა.

## პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული სამეცნიერო წრე.

ქართულ სამეცნიერო წრის კრებებზე ამ სასწავლო წლის მეორე ნახევარში წაკითხულ იქმნა მხოლოდ ერთი გრცელი მოხსენება ს. დადიანისა საზოგადოებრივ აზრის განვითარებაზე მე-19 საუკუნის ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობაში. დანარჩენი კრებები სამეცნიერო წრემ მოანდომა კომისიის მიერ შემუშავებულ საანკეტო ფურცელს, რომელიც განძრახულია მთელ ქართველ სტუდენტთა ეკონომიურ და სხვა გვარ მდგომარეობის გამოსარკვევად. საანკეტო ფურცელი დაიბეჭდება ტფილისში და მომავალ შემოდგომას დაეგზავნება ქართველ სტუდენტებს ყველა ქალაქში, სადაც კი არსებობს უმაღლესი სასწავლებელი, როგორც რუსეთში, აგრეთვე საზღვარ გარეთაც.

წრემ დაადგინა აგრეთვე უკვე დაწყებული ბიბლიოგრაფია ადგილობრივ ძირების დახმარებით დაამთავროს ქალ. ტფილისში და, თუ შესაძლებელი იქნება, გამოსცეს ამავე შემოდგომას ქართულ სტამბის ორასის წლის იუბილეის დროისათვის. ამ საქმის განხორციელებას უკვე შეუდგნენ ადგილობრივ ძალების დახმარებით და იმედია, რომ იგი მოესწრება დანიშნულ დროს, თუ სხვა პირებიც მიიღებენ მონაწილეობას ამ მეტად საჭირო და ძვირფასს შრომაში. მონაწილეობის მიღება შეუძლიან ყველა სტუდენტს, თვით კლასების მოწაფეებს ორსავე სქესისას. მსურველთ შეუძლიან მიმართონ საბიბლიოგრაფიო სექციას ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

ბიბლიოგრაფიის შედგენის გარდა ქართულმა სამეცნიერო წრემ შეადგინა აგრეთვე სოფლებში საზაფხულო მუშაობის გეგმა, საქართველოს სხვა და სხვა კუთხის სოფლების ეკონომიურ და სხვა გვარ მდგომარეობის აღსაწერად. ეს ფურცლებიც დაიბეჭდება ტფილისში და მსურველებს დაერიგებათ ცნობების შესაკრებად.

როგორც საანკეტო ფურცელი, ეს გეგმაც ახლო მომავალში დაიბეჭდება ადგილობრივ გაზეთებში, როდესაც უფრო ვრცლად გვექნება ლაპარაკი მათ მნიშვნელობაზე და საჭიროებაზე. გვგონია, რომ ადგილობრივი ქართველი საზოგადოება აღმოუჩენს ამ წრეს ყოველგვარ და აგრეთვე მატერიალურ დახმარებასაც.

**წრე.**

# ოსმალეთი

### სახელმწიფო სესხი.

ახალგაზრდა ოსმალები აპირებენ 100 მილიონ გირვანქა სტერლინგის სესხებას ძველ სახელმწიფო ვალების მოსაშორებლად. ამ სესხზე მოლაპარაკებას გამართავს საფრანგეთის ყოფილ მინისტრად ჩამყოფი, განთქმული ფინანსისტი რუვიე.

### ილდიზში ნაპოვნი დოკუმენტები.

ილდიზ-კიოსკში სხვათა შორის იპოვეს ისეთი დოკუმენტებიც, რომლებიც, როგორც ამბობენ, ძლიერ უტეხენ სახელს ახალგაზრდა ოსმალთა ზოგიერთს დეპუტატს. ამბობენ, ვითომ დეპუტატებს სულთან აბდულ-ჰამიდისგან ჯამაგირი უღიათ და სამაგიეროდ ცნობები უძლევიათ ყველაფერზე, რაც კი ახალგაზრდა ოსმალებში ხდებოდა ხოლმე. ამბობენ, ვითომ ერთი მეტად გამოჩენილი დეპუტატიც ყოფილა აბდულ-ჰამიდის ჯაშუშადაო.

ამას გარდა, ნაპოვნი დოკუმენტები სახელს უტეხენ აგრეთვე იტალიის ელჩს იმპერიალის, რომელიც მხარს პირების ასრულება... -ნე იღებ მოლაპარაკებით... უჭერდა... აბდულ-ჰამიდს [illegible] რომ... იმპერიალი [illegible] თანამდებობიდან [illegible].

# სპარსეთის ამბები

### შეტაკება რუსის ყაზახებთან.

[illegible] ჯულფიდან: „სპარსელი რევოლიუციონერების რაზმები თავს იყრიან მარანდსა და ხოიში. ხანდახან მათ შეტაკება მოსდით რუსის ყაზახებთან. მდგომარეობა უარესდება“.

### ოსმალეთის პასუხი.

ოსმალეთის მთავრობამ ოფიციალურად შეატყობინა სპარსეთის საელჩოს, სანამ რუსეთის ჯარი არ გავა აზერბეიჯანიდან, არც ოსმალეთი გაიყვანს თავის ჯარს იქიდანაო.

### ოსმალეთის ჯარი ჩრდილოეთ სპარსეთში.

ურმიიდან მოსულმა სპარსელებმა ამბავი მოიტანეს ტფილისში, რომ ოსმალეთის ჯარმა მთლად დაიჭირა ურმიისა, სალმასისა, ლიკტურისა, დილმანისა და ხოის ოლქები და თითქმის ყველა სოფელში ჩააყენა თავისი პატარ-პატარა რაზმებიო. ოსმალებმა ყველგან დააარსეს ენჯუმენები, მათ ჩააბარეს საქმეების მართვა-გამგებლობა, თითონ კი მხოლოდ წესიერებას იცავენ და შაჰის მომხრე ყაჩაღებსა და მძარცველებს სასტიკად ჰლაგმავენო. სადაც ოსმალოს ჯარი დგას, ყველგან ჩინებული წესი ჰსუფევს და სპარსელები ძლიერ ემადლიერებიან ოსმალებსაო. ოსმალები ამბობენ, სანამ რუსის ჯარი არ გავა ირანიდან (სპარსეთიდან), არც ჩვენ წავალთო.

### ოსმალეთის საკონსულოში.

ოსმალეთის საკონსულოში ბესტში ჩამჯდარ სპარსელ რევოლიუციონერების რიცხვი თან და თან მატულობს. საკონსულო მთლად გაივსო და კონსულმა მრავალი რევოლიუციონერი მეზობლად დააბინავა კერძო სახლებში, რომლებზედაც აღმართა ოსმალეთის ბაირაღები.

### ოსმალეთის ქვეშევრდომის დატუსაღების გამო.

ოსმალეთის მთავრობის ბრძანებით, ოსმალეთის კონსულმა თავრიზში ოფიციალურად მოსთხოვა რუსის კონსულს განმარტება ჯულფაში ოსმალეთის ქვეშევრდომის დატუსაღების გამო. დატუსაღებული გამოდგა ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის წარმომადგენელი ინჟენერი ჯალალ-ედინ-ეფენდი. რუსის კონსულმა უპასუხა, ზოგიერთ ცნობის მიღების შემდეგ გავანთავისუფლებთ ჯალალ-ედინსაო.

### სათარ-ხანისა და ბაღირ-ხანის დეპეშა ოსმალეთის პარლამენტისადმი.

სათარ-ხანმა და ბაღირ-ხანმა, რომლებიც ეხლა ბესტში სხედან ოსმალეთის საკონსულოში, შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს ოსმალეთის პარლამენტს:

„რადგან უცხოეთის სახელმწიფოები უკანონოდ ერევიან ჩვენს შინაგან საქმეებში, ემუქრიან ჩვენს დამოუკიდებლობასა და ჩვენის მეთაურების ხელშეუხებლობასა და ლამის მოსპონ ნაყოფი ჩვენის სამწლოვან ბრძოლისა, ჩვენ თავი შევაფარეთ ჩვენს ტომით მონათესავე სახელმწიფოს საკონსულოს და მოვმართავთ თხოვნით ოსმალეთის პარლამენტს—მთელის მუსულმანობის იმედს, და გთხოვთ, ისლამისა და იმ თავისუფლების სახელით, რომელსაც თქვენ უკვე იმდენი მსხვერპლი შესწირეთ, გამოგვიწოდოთ ჩვენ, უმცროს ძმებს, თქვენი ძმური ხელი და გამოგვიყვანოთ ამ აუტანელ მდგომარეობიდან“.

### დემონსტრაციები თეირანში.

თუმცა თეირანში სამხედრო წესებია გამოცხადებული, ხალხი მაინც არ ეპუება ამ საშიშ წესებს და ზეჯითად აცხადებს პროტესტს შაჰისა და უცხოეთის სახელმწიფოების წინააღმდეგ.

მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი ინგლისის საელჩოს წინ და დიდი დემონსტრაცია გამართა: მოითხოვა დაუყოვნებლივი შესრულება დაპირებულისა, პროტესტი განაცხადა თავრიზსა, კაზვინსა და რეშტში მომხდარ ამბების წინააღმდეგ და ზეჯითად მოითხოვა უცხოეთის ჯარის გაყვანა სპარსეთიდან.

ინგლისის ელჩი თითონ გამოვიდა ხალხთან და დაამშვიდა იგი იმით, რომ აღუთქვა ყველა წინანდელ დაპირების ასრულება.

---

ბოზს. საბერძნეთში კლისთენმა შემოიღო შემდეგი სისტემა: —ატიკა დაჰყო ას დემად ანუ თემად... ათი დემი შეადგენდა ერთ ოლქს. ოლქში განსაზღვრული პოლიტიკური წესი მყარდება. მესამე რიგი ამ საზოგადოებრივ ფორმისა ხდება ათინის სახელმწიფოდ, რომელშიაც ათი ოლქი შედიოდა. ეს იყო დამთავრებული პოლიტიკური სხეული. („Первобытное общество“, стр. 265—268). ანალოგიურ მოვლენას ჰქონდა ადგილი რომშიაც.

აქედან სჩანს, რომ სახელმწიფო შემდგარა ათინასა და რომში თემების შეერთებისაგან. სანამ ეს შეერთება არ მოხდა, სახელმწიფო არ დაარსებულა. ბ-ნი ანი კი მორგანს იმოწმებს და გვარწმუნებს, რომ „რომის იდეა იყო თემური... რომ იყო სახელმწიფო ერთი თემის, რომის, და არა ერთი ერის, ლათინებისო“. ცუდად წაუკითხავს მორგანი! ასე რომ ამ სოციოლოგიურ საბუთს დიდი ფასი არა აქვს.

გავშინჯოთ ახლა ისტორიული საბუთები. საბერძნეთის შესახებ ბ-ნი ანი ენგელსის კონსპექტიდან (ოჯახის წარმოშობვა) ამოღებულ ცნობებს გვაწოდებს. რაიც შეეხება რომს, იგი ხელმძღვანელობს ვლ. ლორთქიფანიძის მიერ ფრანგულიდან ქართულად ნათარგმნ რომის ისტორიით. ამ წყაროების საშუალებით ბ-ნი ანი ამტკიცებს, რომ რომსა და საბერძნეთში „ეროვნული იდეა სრულიად არ შემუშავებულა, ეროვნული სახელმწიფო არ დაარსებულა. აქ მეფობდა თემური იდეა, თემური კულტურა და თვითცნობიერება“, არ ვიცი, მკითხველო რას იტყვის ამის გამო, ჩემის აზრით კი ფრიად უცნაური და „ორიგინალური“ აზრები დაჰბადებია ბ-ნ ანს. ფსიხოლოგიური გენეზისი ამ ხასიათის აზროვნებისა მარქსიზმიდან მომდინარე ეკონომიურ ფილოსოფიის ნაკადული უნდა იყოს. მართლ-მორწმუნე მარქსისტი ასე სჯის: ყოვლად ძლიერმა კაპიტალმა გააჩინა კულტურა. მანვე მიანიჭა სიცოცხლე ეროვნებას. ძველს საბერძნეთსა და რომში კაპიტალიზმი არ არსებობდა. მაშასადამე არც ეროვნება იყოო. აზრი მარტივია, საბუთს კი ძალა აკლია. ბ-ნ ანს ერთხელაც არის არ შეჰპარვია ეჭვი იმის შესახებ, თუ რამდენად მართალია ის, რომ ეროვნებას სიცოცხლე არა ჰქონდა იმ ხანაში, როდესაც ქუჩებს ელექტრონით არ ანათებდნენ, რკინის გზით არ მოგზაურობდნენ და როდესაც ქარხნების უზარ-მაზარ ჩარხებსა და რგოლებს არ ატრიალებდნენ.

ბ-ნი ანი „ეჭვიანი“ მწერალი არ გახლავთ, მას მხოლოდ თავის მოპირდაპირის შესახებ ებადება ეჭვები. ასე, მაგალითად, იგი უეცრად წამომედავა იმის გამო, ვითომ მე ეროვნების შესახებ ბევრს ვლაპარაკობდე, ეს მცნება კი ჩემს გონებაში ნათლად განსაზღვრული არ იყოს. ეს აშკარად სჩანს იქიდან, რომ მე არ ვანცალკევებ: „ერს“ „ეროვნულისაგან“, „ეროვნულს“ „ეროვნებისაგან“. ჯერ ეს შრომა იკისრე და ფილოსოფიურად განმარტე ეს ცნებანი და მერე ვილაპარაკოთ საბერძნეთის ისტორიის შესახებაო.

პასუხის გაცემა ძნელი არ არის, და არც ბევრი რამაა სათქმელი ამის შესახებ. „ეროვნული“, „ეროვნება“ და „ერი“ ერთ წყაროდან გამომდინარე ცნებანი არიან. აქ განსხვავება გრამატიკულია და არა ლოღიკური. თავის მტრევა არ დაგვჭირდებათ იმის გასაგებად, რომ თუ სუბიექტი (ერი) არ არსებობს, ამ სუბიექტს არც შემეცნება აქვს (ეროვნება), არც რაიმე მოქმედება (ეროვნული). საგნის განსამარტივებლად ავიღოთ სხვა მაგალითი. ავიღოთ ცნებანი „უვიცი“ და „უვიცობა“. აშკარაა, ეს ცნებანი იქიდამ წარმოსდგნენ, რომ ერთხელაც იყო გაჩნდა ქვეყნად ვინმე უვიცი რომელიც „უვიცობით“ დახასიათდებოდა. ამ გვარად „უვიცობა სუბიექტ—უვიცისაგან წარმოსდგა, როგორც ეროვნული და ეროვნება ერისგან წარმოსდგენ. დღესავით ნათელია ყოველივე ეს.

მაგრამ ბ-ნი ანი სხვანაირად ატრიალებს საქმეს. „საგვარეულო წყობილებაში უკვე არსებობს ერი“. ეროვნული და ეროვნება კი მხოლოდ კაპიტალიზმის ხანაში გამოიჩეკა. ერს უცხოვრია რამდენიმე საუკუნე და ეროვნული ცხოვრების კვალი არ დაუტოვებია. სწორედ სასწაულთ-მოქმედებაა! ეს რასა ჰგავს? ამ ორმოციოდე წლის წინად რომ გაჩენილიყო უვიცი, ნუ თუ ეს უვიცი ორმოცი წლის განმავლობაში თავის უვიცობას არ გამოამჟღავნებდა? ჰაი, ჰაი რომ გამოამჟღავნებდა! ასე რომ დავანებოთ თავი ამ ღრმა ფილოსოფიას და ისევ ისტორიისაკენ მივაპყროთ თვალები.

**არჩილ ჯორჯაძე.**

(შემდეგი იქნება)

ამის შემდეგ დემონსტრანტები გაემართნენ გერმანიისა და ოსმალეთის საელჩოებისაკენ, დიდი მანიფესტაცია გამართეს მათ წინ და მადლობა გამოუცხადეს სპარსეთთან მეგობრულ მოქცევისთვის.

**შაჰი და სეპეხდარი.**

შაჰმა რეშტის გუბერნატორის თანამდებობა შეაძლია რეშტელ რევოლიუციონერების მეთაურს სეპეხდარს, მაგრამ სეპეხდარმა დეპეშით მკაცრი უარი შეუთვალა შაჰსა.

**ეინუდ-დოვლეს მოლოდინში.**

ეინუდ-დოვლეს ჯარის მოწინავე რაზმები უკვე მიუახლოვდნენ კაზვინს. სეპეხდარმა, რომელიც ამ ჟამად კაზვინში იმყოფება, გამოუცხადა მათ, ქალაქში არ შეგიშვებთო. რევოლიუციონერები ეინუდ-დოვლეს დასახვედრად ემზადებიან. ყველგან ბარიკადებს აგებენ.

კაზინში რევოლიუციონერებმა ხ ლახლად დაარსეს ენჯუმენი.

**ბახტიარების ხანის მუქარა.**

ბახტიარების ხანმა სამსამუს-სალთანემ დეპეშით აცნობა შაჰის მთავრობას, თუ ეინუდ-დოვლე კაზვინში შევა, მე თეირანზე გამოვილაშქრებო.

**რ ე შ ტ შ ი.**

რეშტში ტელეგრაფით ცნობა მიიღეს, რომ სათარ-ხანი და ბაღირ-ხანი იძულებულნი იყვნენ ბესტში ჩამსხდარიყვნენო. ამ ცნობამ მეტად აალელვა რეშტელები. იქაური რევოლიუციონერები ხელახლად ისხამენ იარაღს და თეირანზე გასალაშქრებლად ემზადებიან.

**შაჰის გაკერპება.**

შაჰი დღემდე სულთან-აბადში იმყოფება და ყურადღებას არ აქცევს ხალხისა და ელჩების მოთხოვნებს. მან ისევ თავის სასახლეში დაიბარა დათხოვნილი რეაქციონერები ემირ-ბაგადური და მირ-პაშიმი და განუწყვეტლივ ეთათბირება მათ. რუსეთის და ინგლისის ელჩებმა ნოტით მოსთხოვეს შაჰს, მთელ სპარსეთში დაუყონებლივ შეუდგენ არჩევნებსაო. მაგრამ შაჰმა პასუხიც არ აღირსა ელჩებს. 21 მაისს ინგლისის ელჩი თითონ წავიდა შაჰთან ამ საქმეზე მოსალაპარაკებლად.

**აგიტაცია რუსეთის წინააღმდეგ.**

„რ. სლ.“-ს თავრიზელი კორესპონდენტი იუწყება: სპარსელები ძლიერ აღელვებულნი არიან. აგიტაციაა გამართული რუსეთის წინააღმდეგ და ამასთან ოსმალეთის სასარგებლოდ. ყოველ დღე მოსალოდნელია სისხლის ღვრა. მეტად საშიში წამია.

სათარ-ხანის და ბაღირ-ხანის ბესტში ჩაჯდომა მოასწავებს დემონსტრაციას გენ. სნარსკის რაზმის წინააღმდეგ.

# წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სკოლა.

(შემდეგი *)

სამართლიან კრიტიკისა მხოლოდ დამნაშავეს ეშინიან და ჩვენ ხმასაც არ ამოვიღებდით, რომ ბ-ნი ტ. ოდნავაც არის მიუდგომლად მსჯელობდეს წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის მოღვაწეობაზე. არც წინამძღვარიანთ-კარის სკოლას ეშინია სამართლიან კრიტიკისა. შეიძლება საქართველოს სხვა რომელსამე კუთხეში, სადაც მცხოვრებნი მეტის ხალისით ეწაფებიან სწავლას, ამ ტიპის სკოლა გაცილებით მეტ სარგებლობას მოიტანდა, მაგრამ ნუ თუ ეს საბუთია იმისი, რომ სკოლას 25 წლის განმავლობაში არავითარი სარგებლობა არ მოუტანია? პირიქით, სავალალო ის კი არ არის, რომ წინამძღვარიანთ-კარის სკოლა იქ გაიხსნა, სადაც არსებობს და იმდენი სარგებლობა მოიტანა, რამდენიც შესაძლებელი იყო, არამედ ისა, რომ საქართველოს სხვა კუთხეებში სხვა ილია წინამძღვრიშვილები არ გაჩნდნენ და საკუთარი კეთილდღეობა საზოგადო საქმეს არ ანაცვალეს.

ილია წინამძღვრიშვილი, ჭირისუფალი წინამძღვარიანთ-კარის სკოლისა სიკვდილით ეძებდა იმგვარ პირებს, რომლებსაც სკოლის საქმეებში რამე გაეგებოდათ და რაიმე სასარგებლო რჩევის მიცემა შეეძლოთ. ამას მოწმობს მთელი სკოლის ცხოვრება*) და დარწმუნებული ვარ ბ-ნ ტ—საც მადლობას ეტყოდა, თუ კი ის რაიმე სასარგებლო რჩევას მისცემდა და კრიტიკის უნარს გამოიჩენდა სკოლის გაუმჯობესების საქმეში. მაგრამ ავტორი ასე არ მოიქცა: იმას არაფერი ესმის სკოლის წარსულ მოღვაწეობისა, მისი ერთადერთი „ოჩერკიც“ არ წაუკითხავს და ნეტარ-ხსენებულ დონ-კიხოტივით ებრძვის რაღაც უბედურებას. ის განურჩევლად სწიხლავს ავსა და კარგ მხარეებს სკოლის მოღვაწეობისას, ერთის დაკვრით ჰკვეთს თავს 25 წლის შრომას.

**„ჩვენ ამ ხნის (25 წ.) განმავლობაში არავინ გვინახავს კურს დამთავრებული, რომ საქმე თითონ მოეწყოსო“,**

ბრძანებს ბ-ნი ტ. სავსებით ვეთანხმებით, რომ მას მართლა არავინ არ უნახავს სკოლაში კურს დამთავრებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ... ზეპირ-სიტყვაობით არ დაიწყებდა წერას და სხვას თუ არაფერს, იმას მაინც გაიგებდა ნახულისაგან, რომ ამის შესახებ მცირეოდენი ცნობები იმავ 1901 წლის ანგარიშის ბოლოშია მოთავსებული. ვინაიდან ეს წიგნაკი ყველასათვის ხელმისაწვდომია, ამიტომ ამ წერილში მის ცნობებს დაწვრილებით აღარ შევეხები.

აქ მხოლოდ შევეხები ავტორის უმეცრებას ამ საკითხის განმარტებაში. ბ-ნ ტ—ს და შეიძლება სხვა მრავალსაც ეგონოს, რომ საკმარისია სამეურნეო ცოდნის თუნდა ზედ-მიწევნით შეძენა, რომ მეისვე **„შენი საკუთარი მეურნეობა“** გამოიწყო. ამიტომაც არის, რომ ავტორი ასე უსაყვედურებს სკოლას, თუმცა არც ამ მხრივ არის მისი მსჯავრი სამართლიანი. სკოლის პროგრამაშიაც „დამოუკიდებელ მეურნეთ აღზრდა“ იყოს მიზნად დასახული, წარმოიდგინეთ არც ეს ნიშნავს ბევრს რამეს კერძო ცხოვრებაში. დამოუკიდებელ მეურნეს ცოდნასთან ერთად ამ ცოდნის განსახორციელებელი **საშუალებაც** უნდა გააჩნდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ცოდნა იმის სასარგებლოდ მიდის, ვისაც სწორედ ეს საშუალება უწყობს ხელს. ნუ თუ ამას კიდევ ბევრი მტკიცება უნდა? აიღეთ თუნდ უფრო მაღალი სასწავლებლები, რომელნიც წინამძღვარიანთ-კარის სკოლაზე მეტ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას აძლევენ ახალგაზდებს. ნუ თუ ბ-ნ ტ—ს ჰგონია, რომ ყველა იქ კურს დამთავრებულთ, ან იმათი უმეტესობა თავის საკუთარ მეურნეობას აწარმოებს, დამოუკიდებლად მუშაობს? ჩვენის ავტორისაგან არც ასეთი დასკვნაა მოულოდნელი, მაგრამ ცხოვრების მაგალითები სულ სხვას გვიჩვენებენ და ამ საერთო დაბრკოლებას, რასაკვირველია, ვერც წინამძღვარიანთ-კარის სკოლა გადაასხლტებოდა თავს.

უოველივე ამის შემდეგ, მე მაინც არა მაქვს იმედი, რომ ბ-ნ ტ—ს შეგნებით რამე, ვინაიდან მისი აზრების მიხედვით ის ალბად ისე შორს არის საზოგადოდ სამეურნეო ცოდნისაგან და კერძოდ მეურნეობის მოწყობისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან. ის დაჟინებით გაიძახის:

**„სწავლა ისე უნდა მოეწყოს სკოლაში, რომ იქიდან გამოსულებს დამოუკიდებლათ შეეძლოთ თავისი საქმის წარმოებაო“.**

ამგვარ ადამიანს რა თქმა უნდა ვერ დაარწმუნებ, რომ მარტო სკოლაში ცოდნის შეძენაზე არ არის დამოკიდებული „საკუთარი მეურნეობის“ მოწყობა.

(შემდეგი იქნება)

**ნ. კალანდაძე.**

*) იხ. „დროება“, N 111

*) ხაყურადღებოა ამ მხრივ „ანგარიშის“ მე 5 გვერდზე მოყვანილი ცნობა. «სკოლის დამფუძნებელის ბ-ნი ილია წინამძღვრიშვილის აზრით, არავითარ კერძო პირის დაწყებულებას არ ექნება მკვიდრი ნიადაგი, თუ საზოგადოების თანაგრძნობა და დახმარება ხელს არ უწყობს. ამიტომაც, ნდობა-დახმარების მოსაპოვებლად ყოველი საზოგადო დაწესებულება საზოგადოებრივი კონტროლის ქვეშ უნდა იყოს დაყენებული. ამ მოსაზრების თანახმად ილია წინამძღვრიშვილს განზრახვა ჰქონდა დაეარსებინა **„სამეურნეო სკოლის მფარველ-დამხმარე საზოგადოება“**, რომლის ხელმძღვანელობის ქვეშაც იქნებოდა სკოლა.

# რუსეთი

**პიროში.**

**სახელმწიფო სათათ...** „კასპს“ პეტერბურგიდან ატყობინებენ; „სათათბიროს მცირე კომისიამ 16 ხმით წინააღმდეგ 3-სა) უარჰყო სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ კანონ-პროექტი.“

**ოქტომბრისტები.** რუსეთის გაზეთების სიტყვით, სახელმწიფო სათათბიროს ოქტომბრისტების ფრაქციას გადაუწყვეტია, ფრაქციიდან გამორიცხოს დეპუტატები: ჩერკასოვი, გოლოლოსოვი და პოლოვცევი.

**„ჭეშმარიტი რუსები.“** როგორც ვიცით, განზრახულია პოლტავის დღესასწაულები. ამის გამო „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ მთავარმა საბჭომ გზათა მინისტრის წინაშე იშუამდგომლა, „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ წევრებს ნება მიეცათ უფასოდ წავიდნენ პოლტავაშიო. მინისტრს არ შეუწყნარებია ეს შუამდგომლობა.

**კორვინ-მილევსკი.** ამ დღეებში სახელმწიფო საბჭოს პოლონელი წევრი კორვინ-მილევსკი საბჭოდან გავიდა. მიზეზი გასვლისა მემარჯვენეების პროექტი ... რომლითაც დასავლეთ რუსეთის 9 იყო, ... -პუტატი რუსი უნდა გუბერნიიდან 6 ... ყოფილიყო და სამი პოლონელი. კორვინ-მილევსკის, „რეჩის“ სიტყვით, საბჭოდან მოუთხოვია 9 დღის ჯამაგირი და საგზაო ფული. საბჭოს კანცელარიას მარტო 8 დღისა მიუცია და საგზაო ფულზე უარი განუცხადებია. კორვინ-მილევსკის ძალიან სწყენია ასეთი მოპყრობა, ფული უკან დაუბრუნებია და თან განცხადება შეუტანია, ის ფული სახელმწიფო ვალების გამსტუმრებელ ფონდს მიუმატეთო!!

**სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ნოვოჩერკასკში 4, ეკატერინოსლავში 3, სარატოვში 2, კიევში 2, ვარშავაში 1, ხარკოვში 2, მოსკოვში 1, პეტერბურგში 1, კამენეც-პოდოლსკში 4 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ხარკოვში 2, მოსკოვში 1, კიევში 1, უფაში 3, პეტერბურგში 1, კამენეც-პოდოლსკში 1, ვარშავაში 2 კაცი.

**ჩაის მოპარვა.** ამ რამდენიმე ხნის წინად ვწერდით, რომ ქალაქ ხარბინი, სადგურიდან უცნობებმა ვაგონებიდან მოიპარეს ჩაი. რუსეთის გაზეთის სიტყვით, მოუპარავთ ერთი მილიონი მანეთის ჩაი. ჩაის მოპარვაში მონაწილეობა მიუღიათ რკინის გზის მოსამსახურეებს. უკვე დააპატიმრეს რამდენიმე მოსამსახურე.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ დაბეჭდოთ ჩემი პასუხი ალვანიდან მოწერილ კორესპონდენტისა, რომელიც მოთავსებული იყო თქვენი გაზეთის მე-102 ნომერში. ავტორი ამბობს, ვითომ მე სადილზე ალვანში თიანეთის სკოლის მასწავლებელზე ბ-ნ სირაძეზე მეთქვას, რომ იგი საქსოვ მანქანების გავრცელების საქმეში აშინებს და რევს ხალხსაო. ავტორს სწორე აზრი არ გამოუყვანია ჩემი სიტყვებიდან: მე არ მითქვამს, რომ ბ-ნი სირაძე აშინებს და რევს ხალხსაო.

**ინსტრუქტორი პ. ბეჟპალი.**

—

მ. ს. ბ-ნო რედაქტორო! საპასუხოდ ჭიათურიდან გამოგზავნილ ბ-ნ არა მრეწველის კორესპონდენციისა, რომელიც დაიბეჭდა თქვენის პატივცემულ გაზეთის მე-105 ნომერში ამ სათაურით: „ჭიათურის საქმეები“, გთხოვთ „დროების“ ერთ-ერთ მახლობელ ნომერში მოათავსოთ შემდეგი: სიცრუისა და ცილის-წამების დასასჯელად მე ავარჩიე ის გზა, რომელსაც მთავრობა აძლევს ყველა მოქალაქეს, სახელდობრ მიმართვა მთავრობისადმი (обращеніе къ власти). ჩემი, როგორც საზღვარ-გარეთელ ფირმის წარმომადგენლის, მოვალეობაა, უარვყო ის ცრუ ხმები, რომელსაც ფირმის შესახებ ავრცელებენ, და ყოველთვის მზადა ვარ, სადაც საჭიროა, გავცე შესაფერი პასუხი, თუ ბრალდებას კონკრეტიული ხასიათი ექნება და მცირე სიმართლე მაინც ახლდება.

რაც შეეხება შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭოს წევრთა მიერ ჩემ წინააღმდეგ პირად გამოლაშქრებას, საბჭოს იმ წევრებისა, რომელნიც ამით სცდილობენ აღადგინონ თავიანთი შერყეული პოპულიარობა, ვაცხადებ ერთხელ და სამუდამოდ, რომ მე ასეთ ტენდენციოზურ თავდასხმაზე მაღლა ვდგევარ და მეტადა ვთვლი პასუხის გაცემას.*)

პატივისცემით **ივანე სპირიდონის ძე პერსინაკი.**

*) არას ვიტყვით ამ წერილის პირველ ნაწილის შესახებ, სადაც ბ-ნი პერსინაკი გვემუქრება—მთავრობას მივმართავო, მაგრამ არ შეგვიძლიან ჩვენი გაოცება არ გამოვთქვათ წერილის მეორე ნაწერის შესახებ. საიდან დაინახა ბ-ნმა პერსინაკმა ჩვენ სტატიაში საბჭოს წევრთა მხრივ „პირადი გალაშქრება“ მის წინააღმდეგ? სტატია ჩვენს გაზეთშია დაბეჭდილი, ქვეშ ავტორს ფსევდონიმი აქვს მოწერილი და აქ რა შუაში არიან საბჭოს წევრები? ამ წერილით «გავილაშქრეთ» ჩვენ ბ-ნ პერსინაკის წინააღმდეგ და არა სხვა ვინმემ. რედაქცია.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ... ნავასარდიანისა
... 1880 წელს.
(ვორონცოვის ... პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირ...

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. აბეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამდე საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
... 6—7 ს. შინაგა... 
**ი. დ. მაოც...** ... ნი, ბავშვებისა და ყვავილები...

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—91)

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე** ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა.
(წლ.—ნ.—59)

# იყიდება

ორი ნაჭერი მიწისა თავად-აზნაურთა გიმნაზიასთან ვერაზე, გაჰემი: 1. ზომით 360 ოთხკუთხი საჟ.; 2.—436 ოთხკ. საჟ. ორივე კუთხის ადგილია. იკითხეთ გ. ყიფშიძესთან იქვე, საკუთ. სახ., დილით 10 საათამდე და საღამოთი 4—7 საათზე.
(5—260—3)

გამოვიდა გასაყიდად ორი ახალი წიგნი (რუსულ ენაზე)
1. КАКЪ ПРОЖИТЬ 100 И БОЛѢ ЛѢТЪ БЕЗЪ БОЛѢЗНЕЙ? ფასი 20 კაპ.
2. ВЪ ЧЕМЪ СПАСЕНЬЕ? Демократизація капитала (წინააღმდეგ ბანკებისა და სესხისა). ფ. 40 კაპ. გაგზავნით. მიმართეთ ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს, ქ. ტფილისში, თუმანიანის ვიწრო ქუჩა, N 38. გამყიდველებს დაეთმობათ 25%
(2—276—1)

# მიიღება ხელის მოწერა
# დუტუ მეგრელის ნაწერებზე

**ორ წიგნად: 1) ლექსები, 2) მოთხრობები.**

თითო წიგნი იქნება ჩვეულებრივ ფორმატის 250—300 გვერდი ... (ორივე წიგნი) ხელის მომწერთათვის, ვინც ... თი მანეთი. წიგნების გამოსვლის შემდეგ, თუ ... ლი იქნება. ფული უნდა გამოიგზავნოს „დროების“ რედაქციის სახელზე ტფილისში ან გადაიცეს წ.-კ. საზოგადოების მაღაზიაში ბ. შიო ქუჩუკაშვილს. ქუთაისში ხელის მოწერა მიიღება ბ. თომა მთავრიშვილთან.

...-გამომცემელი სთხოვს თანამგრძნობთ, ... თავზე ნაცნობთა შორის ხელის მოწერ... ... ხელის მომწერთა სიასთან საქმის ... და შეგროვილი ფული, რაც შეიძლება მალე, ... ერთად გამოგზავნონ აღნიშნულ ადრესით. ხელის მომწერთ მომლოდინე ... ოდენობა გამოცხადდება ხოლმე გაზეთ „დროება“-ში. გამოცემის სრული ანგარიში და ხელის მომწერთა სია კი ერთ ერთ გამოცემულ წიგნში.
(10—უ.—8)

# სურამში

იუნკრის შკოლის საზაფხულო ლაგერის პირდაპირ ისყიდება საუკეთესო საააგარაკო ადგილები. დატოვებულია სასეირნოთ მშვენიერი **ფიჭვის და მუხის პარკი.** ჰავა და ბუნება საუკეთესო. ფასები ხელმისაწვდომი: **ორი მანეთიდგან ოთხკუთხი საჟენი.** შეიძლება ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდა.
ადრესი: სურამში, როსტომ დ. ჩიკვაიძეს. (10—271—5)

გამოვიდა და იყიდება **წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში** ახალი წიგნი:

# საქართველოს სიძველენი

**ტომი მეორე**

# პალეოგრაფიულის ალბომით

... **და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემული, საქართველოს საისტ... რედაქტორობით.**

**ექვ. თაყაიშვილის ...**

**ფასი 3 მან. 50 კაპ.**

ეს წიგნი **უფასოდ დაეთმობა** საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების იმ ნამდვილ წევრებს, რომელთაც შემოუტანიათ 1908 წლის საწევრო გადასახადი (3 მან.). ასეთს წევრებს, ტფილისში მცხოვრებთ შეუძლიანთ მიიღონ წიგნი წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ხოლო ქალაქს გარეთ მცხოვრებთ წიგნი ფოსტით გაეგზავნება.
(10—5)

# გაფრთხილება
# დ. ზ. სარაჯიშვილისა

ЗАВОДСКАЯ МАРКА

**კანტორა ტფილისში.**

ზოგიერთი ჩვენი მოგვარენი და სხვანი **მოწადინებულნი არიან** ისარგებლონ ჩვენი ფირმის სახელით და ამიტომ გასასყიდად **გამოუშვეს არაყი და არყის სხვა ნაწარმოებნი** ისეთის ეტიკეტებითა და მარკებით, რომელიც საშინლადა ჰგავს ჩვენს ეტიკეტებსა და მარკებს. ამათ ერთად-ერთი აზრი აქვთ—უნდათ შეცდომაში შეიყვანონ პ-ნნი მომხმარებელნი.

ზოგნი არ **დაერიდნენ და ეტიკეტებზე მსხვილის** ასოებით აღნიშნეს **დ. ზ. სარაჯიშვილი,** ხოლო წვრილის, თითქმის შეუმჩნეველის ასოებით მოაწერეს **ყოფილი მოსამსახურენი.**

ამის გამო კანტორა სთხოვს ჩვენის ნაწარმოების მომხმარებელთ, ყურადღება მიაქციონ **დ. ზ. სარაჯიშვილის** სახელს, მამის სახელის და გვარის პირველ ასოებს, მხოლოდ ქვეშ არ უნდა იყოს მოწერილი **„ყოფილი მოსამსახურენი“,** და საქარხნო მარკას **„ჯიხვი კლდეზე“.**
(20—234—8)

# 1 მანეთიდან

ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათ

# 1 მანეთიდან

ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ КОМПАНІИ ЗИНГЕРЪ

# ხელის მაშინები 25 მანეთიდან

**იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.**

ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე, სასახლის პირდაპირ; 2. ვოგზლის ქუჩაზე, სახლი ენფიანჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა.
(15—გაყ.—12)

THE SINGER MANFG. CO. TRADE MARK

# პროვოდნიკის

ФАБРИЧ. КЛЕЙМО Т. Р. Ф. З. ПРОВОДНИКЪ РИГА

1897 წ. 1908 წ. 1888

ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА

# ამხანაგობა რიგაში

**საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში**
სოლოლაკის ქუჩა, № 4.

**იყიდება ნაღდად და ცალობით:**

**რეზინის, კანაფის და სხვა მილები სხვა და სხვა საქმისთვის,**
**რეზინის ტეხნიკური და ელექტრო-ტეხნიკური ნაწარმოები და ფოტოგრაფიის კუთვნილებები,**
**რქის რეზინისა და ებონიტის ნაწარმოებები,**
**იზოლაციონი და საკაბელო კუთვნილებები,**
**რეზინის საქირურგიო და სამკურნალო ნაწარმოებები,**
**რეზინის სათამაშოები და ბურთები,**
**რეზინის საგალანტერეინო საქონელი,**
**საშლელი რეზინი „სპილოს“ მარკისას**

# ცალობით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი“-სა


სტამბა „სინათლე“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აბლაძე.